ა ნ გ ა რ ი შ ი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების მიერ 2017 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოში რეგისტრირებულმა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 241 719, მათ შორის: ქ. თბილისში - 102 134, სამეგრელო- ზემო სვანეთში - 88457, იმერეთში -26 644, აჭარაში - 6 883, რაჭა-ლეჩხუმ - ქვემო სვანეთში - 778, გურიაში - 522, ქვემო ქართლში - 9 602, შიდა ქართლში - 2 256, კახეთში - 1 237, სამცხე ჯავახეთში - 2 292.

აფხაზეთის ქალაქებისა და რაიონების მიხედვით დევნილების რაოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად: ქ. სოხუმი - 46 942 ქ. ტყვარჩელი -2 823, ქ. გაგრის ზონა - 18 701, გუდაუთის რაიონი - 4 731, სოხუმის რაიონი - 20 264, გულრიფშის რაიონი - 33 368, ოჩამჩირის რაიონი - 35 137, გალის რაიონი 79 758 (დანართი №1, **14** ფურცლად).

აფხაზეთიდან ი.გ.პ. რაოდენობის ცვლილებათა დინამიკა 2015-2017 წლების მიხედვით

წლები	ახალი რეგისტრაცია სულ:	ახალირეგისტრირებულიდევნილები					
		მათშორის					
		არასრულწლოვანი				სხვაასაკის	
		სულ: არასრულწ.	3/2 %	მ.შ. ახალშობილი		სულ; სხვაასაკის	7/2 %
				ახალშობილი სულ:	5/2 %		
1	2	3	4	5	6	7	8
2015	5271	4843	92%	3111	59%	428	8%
2016	5213	4683	90%	3024	58%	530	10%
2017	4920	4130		2853	62%	790	
სულ:	*15404*	*13458*	*89,4*	*8965*	*59,5*	*1719*	*11,4*



საანგარიშო პერიოდში - 2017 წელს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მონაცემებით, აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილ ოჯახთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით, სულ:

რეაბილიტირებულ იქნა **29** ბინა;

ახლადაშენებულ კორპუსებში გადაცემულია **1 058** ბინა;

კერძო საკუთრებაში არსებული შენობებიდან გამოსყიდულია **9** ბინა (**820 735** ლარის ღირებულების);

„სოფლად სახლი"-ს პროგრამის ფარგლებში - **612** ბინა (**12 576 802** ლარის ღირებულების);

იპოთეკური სესხის დაფარვის პროექტით ისარგებლა **166** ოჯახმა (**3 199 201,53** ლარის ფარგლებში);

ნგრევადი ობიექტებიდან გადაყვანილ იქნა **449** ოჯახი;

დახურულ იქნა **32** ნგრევადი ობიექტი;

გამოთავისუფლებულ იქნა სახელმწიფო ან თვითმმართველობისათვის მნიშვნელოვანი **15** ობიექტი; საცხოვრებელი ფართის დაქირავების მიზნით **1 302** ოჯახს გამოეყო **723 820** ლარი;

ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწია **7 149** დევნილს თანხით - **1 412 230** ლარის ოდენობით.

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტი თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ხელმძღვანელობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ 2014 წლის 7 ნოემბრის №49 დადგენილებით დამტკიცებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის დებულებით და წლიური სამოქმედო გეგმით. მისი მუშაობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სამთავრობო თუ არასამთავრობო (ადგილობრივ და საერთაშორისო) ორგანიზაციებთან თანამშრომლობა; დევნილთა ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებში საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლა, დროებითი საცხოვრებელი ფართობების რეაბილიტაციაში კომპეტენციის ფარგლებში დახმარების გაწევა, უცხოეთიდან დაბრუნებულ აფხაზეთის მკვიდრთათვის დევნილის სტატუსის აღდგენა-მინიჭებაში ხელშეწყობა, დევნილების მოქალაქეობრივი ინტერესებისა და კანონიერი უფლებების დაცვა, აფხაზეთის მთავრობისა და მის შემადგენლობაში შემავალი დაწესებულებების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობა და ა.შ. გარდა ამისა, დეპარტამენტს აკისრია შემდეგი ფუნქციები:

- ახორციელებს ზედამხედველობას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის რეგიონალურ წარმომადგენლობებზე (სულ 4 დაწესებულება), მართავს და მონიტორინგს უწევს მათ მიერ გაწეულ მუშაობას;

- აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობებთან კოორდინაციითა და ერთობლივი მუშაობით დევნილთა პრობლემების შესახებ არსებული ინფორმაციის გაანალიზება და პრობლემების გადაჭრისათვის აუცილებელი წინადადებების შემუშავება;

- დევნილ სოციალურად დაუცველ კატეგორიებზე ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა, აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობების საქმიანობის მონიტორინგი;

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა შიდა მიგრაციის თაობაზე ინფორმაციის მოძიება და მონაცემთა სრული კომპიუტერიზაციის უზრუნველყოფა და სხვა.

დებულების შესაბამისად, დეპარტამენტში დამტკიცებულია 46 საშტატო ერთეული, მათ შორის 3 სახელმწიფო პოლიტიკური პირი. 2017 წლის 1 ივლისიდან 5 ადმინისტრაციული ხელშეკრულებით აყვანილი საჯარო მოსამსახურე: აპარატის უფროსი, აპარატის უფროსის მოადგილე და 3 მრჩეველი, რომლებიც ექვემდებარებიან უშუალოდ დეპარტამენტის თავმჯდომარეს. ძირითადი მიმართულებებიდან და განსაზღვრული ფუნქციებიდან გამომდინარე ამოცანების შესასრულებლად დეპარტამენტში ფუნქციონირებს 5 სტრუქტურული შენაერთი (სამმართველო-1, განყოფილება-4), რომელთა ფუნქციები გაწერილია დეპარტამენტის დებულებაში.

დეპარტამენტის თანამშრომლებმა 2017 წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს საჯარო სამსახურის ბიუროსა და აფხაზეთის ა.რ. იუსტიციის დეპარტამენტის მიერ, ადამიანური რესურსების მართვის, საქმისწარმოებისა და საარქივო საქმის მიმართულებით ორგანიზებულ **8** სხვადასხვა ტრენინგ-სემინარში.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი რედაქციის ამოქმედებასა და საჯარო სამსახურის რეფორმასთან დაკავშირებით, საჯარო სამსახურის ბიუროს რეკომენდაციების შესასრულებლად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტში შექმნილმა კომისიამ გაატარა შესაბამისი ღონისძიებები, რის შედეგადაც 38 თანამშრომელს მიენიჭა პროფესიული საჯარო მოხელის სხვადასხვა რანგი.

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტის საქმიანობა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, იყო საკმაოდ დატვირთული და მრავალფეროვანი. დეპარტამენტის მონაწილეობით, დევნილთა მიმართ 2017 წელს გატარებული ღონისძიებების ჩამონათვალში, აღსანიშნავია შემდეგი:

- 2017 წლის 3 იანვარს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის ხელშეწყობით აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული რვიდან თორმეტი წლის ასაკის 30 ბავშვი საქართველოს პრეზიდენტის სასახლეში საახალწლო ნაძვის ხის ზეიმს დაესწრო. 10, 11 და 12 იანვარს ნ. დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრში გამართულ სპექტაკლს ,,საახალწლო ნაძვის ხე“ აფხაზეთიდან დევნილი 360 ბავშვი დაესწრო. წარმოდგენის შემდეგ ყველა ბავშვს გადაეცა საახალწლო საჩუქარი ;

-აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა პირებმა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესთან და სხვადასხვა სტრუქტურების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ალილოს სადღესასწაულო მსვლელობაში;

- 10 იანვარს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია შეხვდა დევნილთა საქმეების დეპარტამენტის

თანამშრომლებს, მიულოცა შობა-ახალი წელი. თანამშრომლებთან დიალოგის დროს შეეხო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ 2017 წელს გაწეული საქმიანობის ნაკლოვან მხარეებს და პრობლემურ საკითხებს. შეხვედრის დასასრულს აფხაზეთის მთავრობის მიერ ორგანიზებულ მოძრაობაში ,,ვიზრუნოთ ერთმანეთზე-საქართველო" აქტიური ჩართულობისათვის დეპარტამენტის თანამშრომლებს გადაეცათ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს ერთობლივი სიგელები;

- 12 იანვარს მედია-კავშირ ობიექტივის გადაცემაში ,,აფხაზეთის დრო" სტუმრად იყვნენ მიწვეულნი დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ბულისკერია და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების მართვის, კოორდინაციისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი რომან კოკაია, რომლებმაც საზოგადოებას მიაწოდეს ინფორმაცია დეპარტამენტისა და აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობების ფუნქციური უფლებამოსილების, გაწეული საქმიანობის დადებითი და ნაკლოვანი მხარეების, პრობლემური საკითხების, მიღწეული შედეგებისა და პერსპექტივების შესახებ. პასუხი გასცეს, კომპეტენციის ფარგლებში, დაინტერესებულ ტელემაყურებელთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

- 13 იანვარს დევნილთა საქმეების დეპარტამენტისა და ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის თანამშრომლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს და პერიოდულად აგრძელებენ მონაწილეობას ქ. თბილისში, ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მშენებლობაში. ეკლესიის მშენებლობა ძირითადად შემოწირულობებით ფინანსდება.

- 18 იანვარს გამართულ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე განხილულ იქნა აფხაზეთის მთავრობის დადგენილების პროექტი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" რომელიც ითვალისწინებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან დევნილი, სხვადასხვა სოციალურ კატეგორიას მიკუთვნებული მოქალაქეებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევას. ამ მიზნით 2017 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხები გასულ 2016 წელთან შედარებით გაზრდილია ერთნახევარჯერ. აგრეთვე, აფხაზეთის მთავრობის დადგენილების პროექტი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირეფასიანი და გადაუდებელი სარემონტო სახის სამუშაოების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ". პროექტი ითვალისწინებს დევნილთათვის გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირეფასიანი და გადაუდებელი სახის სარემონტო სამუშაოების ჩატარებას, რომელიც გასულ წელს გამოყოფილ თანხებთან შედარებით გაორმაგებულია;

- მიმდინარე წლის 20 იანვარს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის ორგანიზებით აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული 15 ბავშვი დაესწრო ახმეტელის თეატრში გამართულ სპექტაკლს „ბედისწერა";

- 8 და 9 თებერვალს და 01 მარტს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის, ჯანდაცვის სამინისტროსა და აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი პირები და ამ უწყებების თანამშრომლები გასული იყვნენ დაბა წყნეთში განთავსებულ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა ორგანიზებულ ჩასახლებებში: გურამიშვილის ქ.№2; გურამიშვილის ქ. №18; გურამიშვილის ქ. №31; სააკაძის ქ. № 22; შპს ,,წყნეთი"-ის ბაზის სასადილო; გურამიშვილის ქუჩაზე საქჰიდროენერგომშენის №1 და №2 კორპუსი. სამუშაო ჯგუფი ადგილზე გაეცნო დევნილთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობებს, მოისმინა იძულებით გადაადგილებულ პირთა ინფორმაციები სოციალურ, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ და სხვა პრობლემურ საკითხებზე. დევნილებს განემარტათ ჯანდაცვის სამინისტროს პროგრამები, ამ პროგრამებით და ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირეფასიანი და გადაუდებელი სარემონტო სახის სამუშაოების ჩატარების წესი"-თ დადგენილ ფარგლებში დახმარებით სარგებლობის მექანიზმები, ასევე მიეწოდათ ინფორმაცია წყნეთში დაგეგმილი უფასო პროფილაქტიკური გასინჯვების შესახებ;

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტმა, წერილობითი თხოვნით მიმართა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს, ქ.თბილისში დ.აღმაშენებლის გამზ.N138-ში განსახლებულ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა კოლექტიურ განცხადებაზე რეაგირების მიზნით, სადაც დევნილები გამოხატავდნენ პროტესტს მათი საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, კერძოდ მისამართზე დ.აღმაშენებლის N136, სსიპ თბილისის გ.მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრის ადმინისტრაციის დაქირავებული სამშენებლო კომპანიის მიერ სამუშაოების ჩატარების გამო, რაც დევნილების აზრით, ზიანს აყენებს მათთვის სახელმწიფოს მიერ კერძო საკუთრებაში გადაცემულ საცხოვრებელ შენობას. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა, საქმის მასალების შესწავლის მიზნით მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნულ ობიექტზე სამშენებლო სამუშაოების დროებით შეჩერების შესახებ, რაზეც დეპარტამენტის ხელმძღვანელობის მიერ, 2017 წლის 1 მარტს ადგილზე გასვლით, მიეწოდა ინფორმაცია განმცხადებლებს;

- 2017 წლის 14 მარტს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ჩეხეთის არასამთავრობო ორგანიზაცია „PIN" (ადამიანები გაჭირვებაში)-ისა და საქართველოში ჩეხეთის საელჩოს მიერ ქ. თბილისში სასტუმრო ,,თბილისი მარიოტ"-ში პროექტის ,,სოციალური დაცვის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის გაძლიერება სტრატეგიულ დიალოგში საქართველოში" ფარგლებში გამართულ ,,პრეზენტაცია-დისკუსიაში მრგვალი მაგიდის ირგვლივ სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობის შესახებ". შეხვედრას ესწრებოდნენ „PIN"-ის წარმომადგენლობის დირექტორი ლორიან გონი, ჩეხეთის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში ტომაშ პერნიცკი, პროექტის მენეჯერი ნანა ყურაშვილი და პროექტზე მომუშავე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები;

- 2017 წლის 17 -18 მარტს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს ორგანიზებით, დევნილთა საქმეების დეპარტამენტისა და აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის ხელშეწყობით დაბა წყნეთში მცხოვრებ დევნილთათვის უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩატარდა. - 2017 წლის 18 მარტს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის ორგანიზებით აფხაზეთიდან დევნილმა სოციალურად დაუცველმა ბავშვებმა მონაწილეობა მიიღეს თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობის მიერ ორგანიზებულ სპორტულ – გასართობ ღონისძიებებში;

- 2017 წლის 27 – 28 მარტს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ დასავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში ქალაქებში ქუთაისსა და ზუგდიდში.. დაათვალიერეს რეგიონში მშენებარე ობიექტები. გაესაუბრნენ იქ მომუშავე დევნილებს და სამუშაოს მწარმოებლებს, რის შემდეგაც, შედგა სამუშაო შეხვედრა წარმომადგენლობის ხელმძღვანელებთან და თანამშრომლებთან. წარმომადგენლობის ხელმძღვანელებმა გააკეთეს ინფორმაცია საკურატორო რეგიონებში მიმდინარე სამუშაოებისა და პრობლემური საკითხების შესახებ. შეხვედრაზე დაისახა პრობლემათა შესაძლო გადაჭრის გზები. დეპარტამენტის თავმჯდომარემ, თავის მხრივ გასცა დავალებები და წარმომადგენლობებს გადაეცათ დევნილთა საქმეების დეპარტამენტის მიერ შექმნილი ბუკლეტები აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ მოქმედი სოციალური პროგრამების შესახებ;

- 2017 წლის 8 აპრილს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტროს ორგანიზებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტისა და აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის მოსამსახურეთა ხელშეწყობით დაბა წყნეთში მცხოვრებ დევნილთათვის მორიგი უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩატარდა. კვალიფიციური სამედიცინო გამოკვლევების პარალელურად დევნილებს უფასოდ დაურიგდათ სხვადასხვა დანიშნულების მედიკამენტი. დეპარტამენტმა უზრუნველყო, როგორც წყნეთში ჩასახლებული აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის შეტყობინება, ასევე მიაწოდა მათ ინფორმაცია არსებული სამედიცინო პროგრამების და სხვა სახის სერვისების შესახებ;

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მიერ ორგანიზებულ მოძრაობა „ვიზრუნოთ ერთმანეთზე" ფარგლებში, სოციალურად დაუცველ დევნილ ოჯახებს სააღდგომო ნობათი გადაეცა. აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა იძულებით გადაადგილებულ პირებს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცეს და სხვადასხვა დასახელების სასურსათო პროდუქტი 550-მდე დევნილ ოჯახს გადასცეს. ღონისძიებაში აქტიურად იყვნენ ჩართული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირები და მოსამსახურეები;

- 2017 წლის 21 აპრილს იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ა/რ მთავრობის

წარმომადგენლობაში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ აფხაზეთის ა/რ დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეები. წარმომადგენლობის ხელმძღვანელთან, მოადგილესა და სამსახურის უფროსებთან სამუშაო ვითარებაში შეხვედრისას, წარმოადგინეს ანგარიში დევნილთა დეპარტამენტის მიერ პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ და დასახეს მომავალი სამუშაო გეგმები;

- ამა წლის 28 აპრილს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ვაკის რაიონის გამგეობისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის ორგანიზებით აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მრავალშვილიანი ოჯახების ბავშვები დაესწრნენ მოზარდ მაყურებელთა თეატრში სპექტაკლს;

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და დევნილთა ჩასახლების ობიექტებში, შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლის მიზნით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი, იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელთან ერთად, 2017 წლის 24-25 მაისს იმყოფებოდნენ ქალაქ ბათუმსა და ქობულეთში, სადაც შეხვდნენ რეგიონში ორგანიზებულად ჩასახლებულ დევნილებს. ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრები ასევე გაიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილესთან, ამავე სამინისტროს დევნილთა დეპარტამენტის უფროსთან, ქ. ბათუმის მერიის ა.ი.პ. ,, ბათუმის კორპუსის " დირექტორთან. საქმიან შეხვედრებზე განხილულ იქნა რეგიონში განსახლებულ დევნილთა პრობლემური საკითხები და მათი გადაჭრის გზები;

- 2 ივნისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარემ და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ა/რ წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ერთობლივად ჩაატარეს სამუშაო შეხვედრები რეგიონში განსახლებულ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებთან მათი სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის მიზნით, სადაც მოისმინეს დევნილების ინფორმაცია პრობლემურ საკითხებზე და დაპირდნენ სათანადო შესწავლა-გაანალიზების შემდეგ შესაძლებლობის ფარგლებში ამ პრობლემების მოგვარებას;

- 5 ივნისს ბავშვთა საერთაშორისო დაცვის დღესთან დაკავშირებით, სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრში ანსამბლ ,,მაფშალიას'' მიერ ჩატარებულ კონცერტს კომპაქტური ობიექტებიდან აფხაზეთიდან დევნილი 23 მოზარდი დაესწრო.ბავშვთა დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში დევნილი ბავშვების ჩართულობა უზრუნველყო აფხაზეთის ა/რ დევნილთა საქმეების დეპარტამენტმა;

- 2017 წლის 6 ივნისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარესთან შედგა უწყებათაშორისი სამუშაო შეხვედრა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო სტრუქტურებში საჯარო სამსახურის რეფორმის განხორციელებაზე პასუხისმგებელ თანამდებობის პირებთან დღის წესრიგით ,,აფხაზეთის

ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აღმასრულებელ დაწესებულებებში ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ 2015 წლის 27 ოქტომბრის საქართველოს კანონის ძალაში შესვლამდე (2017 წლის 1 ივლისამდე) განსახორციელებელი ღონისძიებები“. შეხვედრაზე განხილულ იქნა საჯარო რეფორმასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები;

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასა და ესპანეთის ინტეგრაციისა და სოლიდარობის ფონდ ,,ფინსოლ“-ს შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, 2017 წლის 2 ივლისს, სოციალურად დაუცველ ოჯახებში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი 14 ბავშვი (მათ შორის, ოკუპირებული გალის რაიონის სკოლებიდან-12 ბავშვი), ესპანური მოხალისე ოჯახების მიწვევით, ორი თვის ვადით გაემგზავრა დასასვენებლად ესპანეთის სამეფოში. იქ ისინი დაეუფლებიან ესპანურ ენას, გაეცნობიან ქვეყნის კულტურას, დაუმეგობრდებიან თანატოლებს. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტმა უზრუნველყო აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად აუცილებელი დოკუმენტაციის მომზადება (პასპორტი, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, მშობლების თანხმობა, ცნობა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე განსახლების შესახებ, ბავშვებისთვის ვიზები და სხვა). აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ბავშვები თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან ესპანეთში გააცილეს;

- 2017 წლის 3 ივლისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელ პირებთან ერთად დეპარტამენტის თანამშრომლებმა ტამიშთან დაღუპული გმირების ხსოვნას პატივი მიაგეს;
- 2017 წლის 11 ივლისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარესთან, აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი პირების მონაწილეობით, გაიმართა სამუშაო შეხვედრა, სადაც განიხილეს მთავრობის წარმომადგენლობის წვევამდელთა აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი და დასახეს პრობლემების გადაჭრის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები;
- 2017 წლის 17 ივლისს სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეებმა და წამომადგენლობების მართვის, კოორდინაციისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსმა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სხდომის წინამოსამზადებელი სამუშაოების ჩასატარებლად გასვლითი სამუშაო შეხვედრა გამართეს. შეხვედრაზე განხილულ იქნა რეგიონში არსებული ვითარება და დაისახა კომპაქტურად ჩასახლებული დევნილებისათვის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ჩამოყალიბებაში დახმარების გზები;

- მიმდინარე წლის 17 ივლისს აფხაზეთის ა/რ დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეებმა, წარმომადგენლობების მართვის, კოორდინაციისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსმა იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო

სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში გამართეს სამუშაო შეხვედრა. სამუშაო შეხვედრაზე მოხდა წარმომადგენლობის 6 თვის მუშაობის შეჯამება და საანგარიშო პერიოდში წარმომადგენლობაში გაწეული საქმიანობა შეფასდა დადებითად, გარკვეული მითითებები მიეცა წარმომადგენლობების მუდმივმოქმედ კომისიებს სათანადო ინფორმაციების მიწოდების ვადებთან და სიზუსტესთან დაკავშირებით;

- 2017 წლის 27 ივლისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტში ჩატარდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობებში ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მაძიებელი) პირთა ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიების" გადაწყვეტილებებზე შემოსული საჩივრის/საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომა, სადაც განხილულ იქნა შემოტანილი ადმინისტრაციული საჩივარი და მიღებულ იქნა კანონშესაბამისი გადაწყვეტილება;

- 2017 წლის 27 ივლისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარესთან ჩატარდა თათბირი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების მართვის, კოორდინაციისა და მონიტორინგის სამმართველოს, დევნილთა განსახლებისა და სოციალური დაცვის განყოფილების და დევნილთა პრობლემებზე მომუშავე ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელებთან და თანამშრომლებთან. თათბირზე განხილულ იქნა ქ. თბილისსა და საქართველოს რეგიონებში აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ორგანიზებულ ჩასახლებებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ჩამოყალიბების და უკვე მოქმედ ამხანაგობებთან საქმიანი კონტაქტების დამყარების გზით, დევნილთა პრობლემური საკითხების ეფექტური გადაწყვეტის მიზნით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების თანამშრომლების სამუშაო ჯგუფების დაკომპლექტების საკითხი. ასევე დაისახა შექმნილი ჯგუფების მიერ გასატარებელი კონკრეტული ღონისძიებები და ერთობლივი სამოქმედო გეგმები;

- 2017 წლის 2 აგვისტოს დეპარტამენტის ხელმძღვანელობა სამეგრელო ზემო–სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის თანამშრომლებთან ერთად იმყოფებოდა მესტიის მუნიციპალიტეტში, სადაც გაიმართა სამუშაო შეხვედრა მესტიის გამგებლის პირველ მოადგილესთან. განხილულ იქნა მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის სოციალური პრობლემები და მათი მოგვარების გზები. მოგვიანებით გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა მესტიაში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობასთან;

- 2017 წლის 11 სექტემბერს დეპარტამენტის ხელმძღვნელი მონაწილეობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ორგანიზებით, მესტიის მუნიციპალიტეტში განსახლებულ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა

გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებაში;

- 2017 წლის 13 სექტემბერს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტში ჩატარდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობებში ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მაძიებელი) პირთა ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიების " გადაწყვეტილებებზე შემოსული საჩივრის/ საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომა, სადაც განხილულ იქნა შემოტანილი ადმინისტრაციული საჩივარი და მიღებულ იქნა კანონშესაბამისი გადაწყვეტილება;
- 2017 წლის 5 ოქტომბერს დევნილთა საქმეების დეპარტამენტმა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებმა და დევნილმა საზოგადოებამ აფხაზეთში მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ განხორციელებული გენოციდისა და ეთნიკური წმენდის მსხვერპლთა ხსოვნის დღესთან დაკავშირებით, ქ. თბილისსა და რეგიონებში მოქმედ ტაძრებში მათი სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადეს.
- იმავე დღეს აფხაზეთის ხელისუფლებამ გაგრის დაცემის დღესთან დაკავშირებით, გმირთა მოედანზე, საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო.
- 2017 წლის 15 ოქტომბერს, დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ და თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებითა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პარტნიორობით ევროპის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე გამართულ ბიზნეს-გამოფენა „აფხაზეთი 2017″ გაიმართა.
- მიმდინარე წლის 12 ოქტომბერს, აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში ჩატარდა **,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მაძიებელი) პირთა ფოტოოდენტურობის დადასტურებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიის"** მორიგი სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ აფხაზეთის ა/რ დევნილთა საქმეების დეპარტამენტის წარმომადგენლები ..კომისიამ განიხილა ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენასთან დაკავშირებით შემოსული განცხადებები და წარმოდგენილი დოკუმენტების, მოპოვებული მასალების შესწავლისა და ურთიერთშეჯერების შემდეგ თითოეულ მათგანზე მიიღო კანონშესაბამისი გადაწყვეტილება, ასევე, შეჯამებულ იქნა კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შედეგები და მიეცა შესასრულებლად სავალდებულო რეკომენდაციები.
- 19 ოქტომბერი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და ვეტერანების საქმეთა

სახელმწიფო სამსახურის ორგანიზებით ბიზნეს ცენტრ „მოზაიკა”-ს კონგრეს-ჰოლში გამართულ ვეტერანთა დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას ესწრებოდნენ დეპარტამენტის თანამშრომლები..

- 6 ნოემბერს, აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში „აფხაზეთის ა/რ ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გამცემი“ და აფხაზეთის ა/რ ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირეფასიანი და გადაუდებელი სარემონტო სახის სამუშაოების განსაზღვრის მიზნით შექმნილი კომისიებთან სამუშაო შეხვედრის მიზნით იმყოფებოდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის წარმომადგენლები, რომლებმაც შეაჯამეს განვლილი პერიოდის შედეგები და დასახეს პრობლემური საკითხების შესაძლო გადაწყვეტის გზები.
- 2017 წლის 22 ნოემბერს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტში გაიმართა მორიგი სამუშაო შეხვედრა დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით შექმნილ იმ სამუშაო ჯგუფებთან, რომლებიც მიმაგრებულნი არიან ქ. თბილისში დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ობიექტებზე. შეხვედრაზე განიხილეს კომპაქტურად განსახლებული დევნილი მოსახლეობისათვის ბინათმესაკუთრეთა და სამეზობლო ამხანაგობების დაფუძნების გზით ადგილობრივ თემებში ინტეგრაციის, დევნილთა განსახლების ობიექტებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების შექმნის ხელშეწყობის, მათთვის გადასაცემი საერთო სარგებლობის ფართების იდენტიფიცირებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის გადაცემული საერთო სარგებლობის ფართებზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მათი საკუთრების უფლების რეგისტრაციის აუცილებლობის საკითხები.
- 21 ნოემბერს სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატულ თეატრში, ცნობილი დრამატურგის ოთარ ქათამაძის პიესის ,,აივანი'' წარმოდგენას დაესწრნენ სხვადასხვა კომპაქტურ ჩასახლებებში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი მოზარდები. ღონისძიების ორგანიზება უზრუნველყო დევნილთა საქმეების დეპარატმენტმა..
- 5 დეკემბერს, აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში ჩატარდა ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მაძიებელი) პირთა ფოტოოდენტურობის დადასტურებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიის“ მორიგი სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ აფხაზეთის ა/რ დევნილთა საქმეების დეპარტამენტის წარმომადგენლობების მართვის, კოორდინაციისა და მონიტორინგის სამმართველოს თანამშრომლები. ასევე, შედგა სამუშაო შეხვედრა „აფხაზეთის ა/რ ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გამცემი“ და „აფხაზეთის ა/რ ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირეფასიანი და

გადაუდებელი სარემონტო სახის სამუშაოების განსაზღვრის მიზნით“ შექმნილ კომისიების წევრებთან, სადაც განხილულ იქნა პრობლემური საკითხები და დაისახა მათი გადაჭრის გზები.

- აფხაზეთის ა/რ დევნილთა საქმეების დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ აფხაზეთის ომში დაღუპულ მეომართა უკვდავსაყოფად წიგნის „მარადისობაში მომავლისათვის“ ახალ გამოცემასთან დაკავშირებით, სამუშაო შეხვედრა გამართეს აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში. ასევე, განხილულ იქნა „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2017 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ივლისის №366 დადგენილების შესრულების მიზნით მიღებული სამხედრო სავალდებულო სამსახურში აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ მოქალაქეთა საშემოდგომო გაწვევის მიმდინარეობა. წარმომადგენლობას, ამ მიმართულებით მუშაობის გააქტიურების მიზნით, დაევალა, დამატებითი ღონისძიებების შემუშავება და გატარება.

- 27 დეკემბერს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტმა უზრუნველყო აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ მოზარდების დასწრება საახალწლო ზეიმზე.

- 2017 წლის 28 დეკემბერს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ორგანიზებით, მოძრაობა ,, ვიზრუნოთ ერთმანეთზე’’-ს ფარგლებში, აფხაზეთიდან დევნილ სოციალურად დაუცველ დევნილ ოჯახებს გადაეცათ საახალწლო საჩუქრები. საახალწლო-საქველმოქმედო ღონისძიების ორგანიზებაში მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის ხელმძღვანელებმა და საჯარო მოსამსახურეებმა.

- 28 დეკემბერს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის ორგანიზებით, ქ. თბილისის, ვაკის რაიონის გამგეობის მიერ ჩატარებულ საახალწლო ზეიმს დაესწრნენ აფხაზეთიდან დევნილი ბავშვები.

- ქ.თბილისში, “ვახუშტის” ხიდთან მიმდინარე, ილორის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მშენებლობაში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა სამთავრობო დაწესებულების მოსამსახურეებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ აფხაზეთის ა.რ. დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თანამშრომლები;

- 2017 წელს დეპარტამენტში სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, კონსულტაცია გაეწია აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ 497 პირს;

- 2017 წლის განმავლობაში დოკუმენტბრუნვამ შეადგინა **2755** ერთეული (იხილეთ დანართი #2);

შემოსული კორესპონდენციის საერთო რაოდენობა შეადგენს - **2104**, მათ შორის:

- აფხაზეთის მთავრობიდან შემოსულია - **366** დოკუმენტი;
- აქედან - **85** დევნილი მოქალაქეების განცხადება;
- მატერიალური დახმარების გამოყოფის შესახებ აფხაზეთის ა.რ. მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის **897** ბრძანება;
- საქართველოსა და აფხაზეთის ა.რ. სხვადასხვა უწყებებიდან და

ორგანიზაციებიდან **238** წერილი;

-შემოსული განცხადებების კლასიფიკაცია თემატიკის მიხედვით იხ. დანართი # ;

– გასული კორესპონდენციის საერთო რაოდენობამ შეადგინა - **651** ერთეული.

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტის ადმინისტრაციული განყოფილების მიერ მომზადდა:

ძირითადი საქმიანობის ამსახველი ბრძანების - 28 პროექტი;

საკადრო ბრძანების (დანიშვნა-გათავისუფლება, გადაადგილება, დაჯილდოება) – 140 პროექტი;

მივლინება, შვებულება, საავადმყოფო ფურცელზე გადასვლა - 138 პროექტი;

შრომითი ხელშეკრულების პროექტი - 31;

ადმინისტრაციული ხელშეკრულების - 5 პროექტი;

დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეებისათვის გაცემულია 19 ცნობა სამუშაო ადგილისა და თანამდებობრივი სარგოს შესახებ;

ჩატარდა 29 თათბირი დეპარტამენტის თავმჯდომარესთან, შესაბამისად გაფორმდა 29 ოქმი;

დანიშვნა-გათავისუფლებასთან, შვებულებასთან, საავადმყოფო ფურცელზე გადასვლასთან დაკავშირებით სისტემატურად ხდებოდაინფორმაციის განახლება ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონულ(ehRms) პროგრამაში;

- დეპარტამენტში დროულად ხორციელდებოდა სხვადასხვა უწყებებიდან, ორგანიზაციებიდან და მოქალაქეებისაგან შემოსული კორესპონდენციის აღრიცხვა ადრესატებისათვის მიწოდება და მათი შესრულების კონტროლი. ასევე შესრულებული კორესპონდენციის დანიშნულებისამებრ გადაგზავნა.

- დეპარტამენტში შექმნილი ,,ელექტრონული საჯარო ინფორმაციის გვერდი“ ,,facebook” გვერდთან ერთად აქტიურად ფუნქციონირებს და აშუქებს დეპარტამენტისა და აფხაზეთის სხვა სამთავრობო სტრუქტურების მიერ დაგეგმილ და გატარებულ ღონისძიებებს, დევნილთა ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით პერიოდულად აწვდის იძულებით გადაადგილებულ პირებს, საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონებს, ნორმატიულ აქტებსა და ინფორმაციებს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამების შესახებ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის 2017 წლის ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა **862603.45** ლარი.

მათ შორის:

თანამდებობრივი სარგო	- 445967.44 ლარი;
პრემია	- 70512.75 ლარი;
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	- 76647.08.08 ლარი;
შტატგარეშე მომუშა პრემია	-590 ლარი;

მივლინება ქვეყნის შიგნით	- 2003 ლარი;
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	- 2941.95 ლარი;
მათ შორის შენობა- ნაგებობების დაცვის ხარჯი	- 1740 ლარი;
სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯი	-877.95 ლარი;
საარქივო მომსახურება (წიგნების აკინძვა)	- 124 ლარი;
ექსპერტიზის და შემოწმების ხარჯი	-200 ლარი;

- ოფისის ხარჯი - 29245.02 ლარი. კომუნალური ხარჯი 10550.91 ლარი: მ.შ, ელექტროენერგიის ხარჯმა შეადგინა 4802.79 ლარი, წყლის ხარჯი 1359.87 ლარი, ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯი 2948.25 ლარი, შენობა-ნაგებობების და მათი მიმდინარე ტერიტორიების მოვლა /დასუფთავების ხარჯი 1440 ლარი.

კავშირგაბმულობის ხარჯმა - 9674.10 ლარი: მ.შ. ინტერნეტ მომსახურება 4290 ლარი, ჰოსტინგის მომსახურეობა 240 ლარი, მობილური კავშირის მომსახურეობა 3160.91 ლარი, სატელეფონო მომსახურება 1743.19 ლარი, სატელევიზიო არხის მომსახურება 240 ლარი, საფოსტო ხარჯმა 182.50 ლარი, კომპიუტერული ტექნიკის ხარჯი- 920.35 ლარი, საოფისე ავეჯის ხარჯი -530 ლარი, საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა -2612.87 ლარი, ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთის შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯები - 952.50 ლარი, კატრიჯების შეძენა და დატუმბვა 238 ლარი, საოფისე ტექნიკის მოვლა - შენახვის და მიმდინარე რემონტის ხარჯი 1485.50 ლარი, მობილური ტელეფონის შეძენის ხარჯი -498.99 ლარი, სხვა მცირე ფასიანი საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი 270.80 ლარი, ოფისისთვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯი- 808,50 ლარი, შენობა-ნაგებობების და მათი მიმდინარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯი -520 ლარი. წარმომადგენლობითი ხარჯი- 1199.53 ლარი.

- ტრანსპორტის შენახვისა და მოვლის ხარჯი - გაიხარჯა 18903.03 ლარი. მათ შორის საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი -13280.03 ლარი, ა/მ მიმდინარე რემონტი 1203 ლარი, ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი - 4420 ლარი.

სხვა ხარჯი - 5028.25 ლარი:

მ.შ მოსაკრებელი - 654.81 ლარი; სხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯი -2962 ლარი; სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხარჯი - 1412.14 ლარი. სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან გახარჯულია 104683,98 ლარი, მ.შ. აფხაზეთის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა და მატერიალური დახმარების სახით გაცემულია 915 ოჯახზე 196840 ლარი, დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება - 8087.70 ლარი. არაფინანსური აქტივები - 4637 ლარი.

- 2017 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის მიერ, ინიცირებული 3 საკითხი განხილულ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე, კერძოდ:

1.,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“.

2.,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირეფასიანი და გადაუდებელი სარემონტო სახის სამუშაოების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“.

3.აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთათვის კერძო საკუთრებაში და მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართებზე მონაცემების ამსახველი ონლაინ - პროგრამის ფუნქციონირებისა და მისი დახვეწის (განახლების) მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ.

- დეპარტამენტის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების მართვა-მონიტორინგის საკითხი.

- „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2017 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 03 თებერვლის №57 და „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2017 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ივლისის №366 დადგენილებების შესაბამისად, დასრულდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2017 წლის საგაზაფხულო და 2017 წლის საშემოდგომო გაწვევა. შედეგად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებს გადაეგზავნათ სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევების გეგმა–გრაფიკები რომელიც, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების შესაბამისი სამსახურების მიერ წარმატებით იქნა შესრულებული. წარმოგიდგენთ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების შესაბამისი სამსახურების მიერ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ წვევამდელთა 2017 წლის საგაზაფხულო და 2017 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ ინფორმაციას (**დანართი –3,4**);

აღსანიშნავია, რომ სამხედრო სავალდებულო სამსახურის გაუქმება „ახალი პოლიტიკური ცენტრის- გირჩის “ერთ-ერთი მთავარ პოლიტიკურ მიზანს წარმოადგენს. გირჩის წევრებმა 2017 წლის მარტში დაარეგისტრირეს რელიგიური ორგანიზაცია ***საქართველოს ქრისტიანული, ევანგელისტური, პროტესტანტული ეკლესია - ბიბლიური თავისუფლება,*** რომელიც წვევამდელებს ანიჭებს მღვდელმსახურის წოდებას. ორგანიზაცია ამის დამადასტურებელ მოწმობასაც გასცემს (**დანართი-5**), რომელსაც ხელს აწერენ გირჩის წევრები, როგორც მღვდელმსახური და ეპისკოპოსები. აღნიშნული ცნობა კი, არსებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის მიხედვით, საკმარისია სავალდებულო სამსახურის გადასავადებლად. სასულიერო წოდების მქონე ახალგაზრდები კი შესაბამისი უწყებებისგან სავალდებულო სამხედრო სამსახურის გადავადებას ითხოვენ და მიზანსაც აღწევენ, რადგან კანონში არსებული ჩანაწერი მათ ამის საშუალებას აძლევს. კერძოდ, სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 30-ე "ლ" ქვეპუნქტის მიხედვით, წვევამდელს სამხედრო სამსახურში გაწვევა გადაუვადდება, თუ ის არის მღვდელმსახური ან სწავლობს სასულიერო სასწავლებელში. 2017 წელს, გირჩის წევრების მიერ დაფუძნებული რელიგიური ორგანიზაციის მიერ კურთხეულმა 79 სასულიერო პირმა, იგივე აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულმა წვევამდელმა, სწორედ ამ გზით

შეძლო სავალდებულო სამხედრო სამსახურის ერთი წლით გადავადება, რაც შემაფერხებელი გარემოებაა შესაბამისი სამსახურებისათვის.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს რომ, წარმომადგენლობების სამოქმედო არეალის გეოგრაფია საკმაოდ ფართოა და ცენტრალური ოფისიდან სულ უფრო რთული ხდება რეგიონებში განსახლებული დევნილი წვევამდელების მიმართ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება. მიუხედავად ამისა, წარმომადგენლობების წვევამდელთა აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურები ახერხებენ (რეგიონებში ხშირი მივლინებები; მჭიდრო, საქმიანი ურთიერთობები ადგილობრივი თვითმმართველობების შესაბამის სამსახურებთან) არსებული პრობლემების მოგვარების პროცესების მართვას. ძალზე მნიშვნელოვანია ამასთანავე, წარმომადგენლობების რეგიონალური სამსახურების სპეცილისტების ადგილზე საქმიანობა.

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 20 იანვრის №1 დადგენილების შესაბამისად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებში შექმნილია ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით, ერთჯერადი დახმარების გამცემი კომისიები'', რომლის უფლებამოსილებასაც განეკუთვნება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით („აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-13 მუხლის 2.1. პუნქტით განსაზღვრული კატეგორიის მქონე ბენეფიციარები) დადგენილი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილ, სოციალურად დაუცველ კატეგორიებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის ორგანიზება. როგორც მოგეხსენებათ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით, სოციალური პროექტების დაფინანსება, სოციალური დახმარების კუთხით გაიზარდა, კერძოდ, კანონით დადგენილი კატეგორიის მქონე ბენეფიციართა დაფინანსება, თითოეულ კატეგორიაზე 50 (ორმოცდაათი) ლარით და მან შეადგინა 150 (ას ორმოცდაათი) ლარი, ხოლო სხვა მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფ ოჯახებზე – კომისიის გადაწყვეტილებით არაუმეტეს 200 (ორასი) ლარისა (პროგრამის მოცულობა გაიზარდა 10%-დან 20%-მდე). აღნიშნულის გათვალისწინებამ, მოგვცა საშუალება მცირედით გაგვეუმჯობესებინა დევნილი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა.

სოციალურად დაუცველთა ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამის ეფექტურობის კიდევ უფრო ამაღლების მიზნით, მისასალმებელია აფხაზეთის ავტონომიური რეპუბლიკის მთავრობის ინიციატივა აღნიშნული პროგრამისათვის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ზრდა. კერძოდ, 2017 წელს თანხა შეადგენდა 354 375 ლარს, მატებამ შეადგინა 100 625 ლარი და 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები განისაზღვრა 455 000 ლარით. ამასთანავე, აუცილებელია 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილი თანხები წარმომადგენლობებმა კვარტლების მიხედვით რაციონალურად გადაანაწილონ. რაც შეეხება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარებების გაცემის წესის „თ" კატეგორიის (სხვა მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფ ოჯახებზე – კომისიის გადაწყვეტილებით არაუმეტეს 200 (ორასი) ლარისა, პროგრამის მოცულობის 20%-ის ფარგლებში) ბენეფიციარებს, 2017 წელს შემოსული განცხადებების ანალიზმა გვიჩვენა, რომ მათი სისტემატიზირება-დაჯგუფება და რაიმე

დამატებითი კატეგორიის სახით გამოყოფა შეუძლებელი იყო. ამასთანავე, გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ დაცული უნდა იყოს სოციალური თანასწორობის პრინციპი, მიგვაჩნდა რომ დიდი განსხვავება არ უნდა ყოფილიყო კატეგორიის მქონე და კატეგორიის არ მქონე ბენეფიციარებზე გასაცემ თანხასთან დაკავშირებით, შესაბამისად, ჩვენი პოზიცია გათვალისწინებულ იქნა და უცვლელად დარჩა 2017 წელს არსებული რეალობა, კერძოდ, კატეგორიის მქონე ბენეფიციარებზე კვლავაც განისაზღვრა - 150 ლარი, ხოლო მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფ ოჯახებზე (კატეგორიის გარეშე) არაუმეტეს - 200 ლარი (თანხა არ არის შეზღუდული პროგრამის მოცულობის პროცენტული რაოდენობით).

სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციების საფუძველზე (აფხაზეთიდან დევნილთა გარდაცვლილთა შესახებ), მონიტორინგის განყოფილების მიერ გადამოწმებულ იქნა აფხაზეთიდან დევნილ, სოციალურად დაუცველ კატეგორიებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გამცემი კომისიების მიერ მოწოდებული მონაცემები, შედეგად აღმოჩენილ იქნა, რომ კომისიის გადაწყვეტილების მოღების დროს ხუთი განმცხადებელი (ბენეფიციარი) უკვე გარდაცვლილი იყო. შესაბამისად იმერეთის წარმომადგენლობის მიერ თანხა (700 ლარი) ბანკიდან გამოთხოვილ/დაბრუნებულ იქნა და კომისიის ხელახალი გადაწყვეტილებით გაიცა სხვა ბენეფიციარებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობებს მიეცათ დავალება/რეკომენდაცია, რათა შესაბამისი კომისიების გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებული ბენეფიციარების (სიების) გადამოწმება მოხდეს სერვისების განვითარების სააგენტოს მეშვეობით. წარმოგიდგენთ, 2017 წლის სტატისტიკურ მონაცემებს **(დანართი 6,7, 8).**

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მაძიებელი) პირთა ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიების მიერ 2017 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციას **(დანართი 9,** 4 ფურცელი,). როგორც მოგეხსენებათ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მაძიებელი) პირთა ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიების საქმიანობა წარიმართება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 20 აპრილის N15 დადგენილებითა და აღნიშნულ სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობით, რომლითაც რეგულირდება კომისიის შექმნის წესი და პროცედურები, განცხადების განხილვის ვადები, გადაწყვეტილების მიღების ფორმა და მისი გასაჩივრების მექანიზმი. მნიშვნელოვანია, რომ კომისიები საქმისწარმოების პროცესში სათანადო ინფორმაციის მოძიებისა და მიწოდების კუთხით, მუდმივად თანამშრომლობენ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან. თანამშრომლობის პროცესში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, ხდება ინფორმაციის გაცვლა შესაბამის სახელმწიფო უწყებასთან, რაც ხელს უწყობს კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მაქსიმალურად გამჭვირვალობას, ეფექტიანობასა და კანონიერებას. ამასთან, არსებობს როგორც სამართლებრივი საფუძვლები, ასევე პრაქტიკული გამოცდილება კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილების როგორც ზემდგომ ორგანოში, ასევე სასამართლო ინსტანციებში გასაჩივრებისა, რაც კიდევ ერთხელ უზრუნველყოფს პროცესის მუდმივად განახლებასა და კომისიის კომპეტენციის ხარისხის ამაღლებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან 2017 წელს შემოსულმა წერილებმა, 2016 წელთან შედარებით, საგრძნობლად იკლო (**დანართი 10**).

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მაძიებელი) პირთა ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენ კომისიაში“ 2017 წელს შემოსულია **1056** განცხადება. მიღებულია **1039** გადაწყვეტილება (აქედან დადებითი დასკვნა - **966**, უარი ეთქვა - **71** განმცხადებელს. განუხილველად დატოვებულ იქნა -**2**, ადმინისტრაციულ წარმოებაშია - **17** განცხადება).

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან 2017 წელს შემოსული წერილების რაოდენობამ კი შეადგინა **64** ერთეული **64** პირის მიმართ. სულ პასუხი გაეცა **59** განცხადებას **59** პირის მიმართ (დადებითი დასკვნა გაიცა **38** განცხადებაზე **38** პირის მიმართ, უარყოფითი კი - **16** მიმართვაზე **16** პირის მიმართ, გადამისამართდა **5** მიმართვა **5** პირის მიმართ) , განხილვის პროცესშია **5** განცხადება **5** პირის მიმართ.

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირეფასიანი და გადაუდებელი სარემონტო სახის სამუშაოების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ” აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 20 იანვრის N2 დადგენილების შესრულების მიზნით, წარმოგიდგენთ საანგარიშო პერიოდში იგპ-თა მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართებში მცირე სარემონტო სამუშაოების დაფინანსების პროგრამის („აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-13 მუხლის 2.3. პუნქტი) ფარგლებში წარმომადგენლობების შესაბამისი კომისიების მიერ 2017 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციას (**დანართი 11,** 5 ფურცელი). დევნილებში სოციალური ეფექტის ამაღლების მიზნით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით, იგპ-თა მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართებში მცირე სარემონტო სამუშაოების დაფინანსების პროგრამის დაფინანსება გაიზარდა/გაორმაგდა. კერძოდ, 2016 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებზე გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 14 700 ლარი, ხოლო 2017 წელს კი 29 400 ლარი; ხსენებული წინადადებების გათვალისწინებამ, მოგვცა საშუალება მცირედით გაგვეუმჯობესებინა დევნილი მოსახლეობის არსებული საყოფაცხოვრებო მდგომარეობა. საანგარისო პერიოდში, წარმომადგენლობების შესაბამისმა კომისიებმა განიხილეს 48 განცხადება, საიდანაც დაკმაყოფილდა 43, თანხით 28 748,86 ლარი. 5 განცხადება კი არ დაკმაყოფილდა თანხის (800 ლარი) ლიმიტის გადაჭარბების გამო.

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებთან ერთობლივად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებსა და ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობით, ადგილებზე გასვლით, განაგრძობს

რეგიონებში შეხვედრებს დევნილთა კოლექტიურ ცენტრებში ჩასახლებულ დევნილებთან, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლისა და შემდგომი რაეგირების მიზნით. ამასთანავე, სამმართველოში შემუშავდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის უწყებებში არსებული/მოქმედი სოციალური და სხვა პროგრამების შესახებ საინფორმაციო ბუკლეტი, რომელიც, დევნილთა საქმეების დეპარტამენტის ჩართულობით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების სპეციალისტებმა დაარიგეს დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ობიექტებში;

- იმთავითვე უნდა აღინიშნოს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია კომპაქტურად განსახლებული დევნილი მოსახლეობისათვის, ბინათმესაკუთრეთა და სამეზობლო ამხანაგობების დაფუძნების გზით ადგილობრივ თემებში ინტეგრაცია, დევნილთა განსახლების ობიექტებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების შექმნის ხელშეწყობის, მათთვის გადასაცემი საერთო სარგებლობის ფართების იდენტიფიცირების და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის გადაცემული საერთო სარგებლობის ფართებზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მათი საკუთრების უფლების რეგისტრაციის აუცილებლობა, რაც თავის მხრივ გააუმჯობესებს ურბანული პოლიტიკისა და განსახლების პირობებს. ასევე, აუცილებლობას წარმოადგენს ჩასახლებებში უკვე შექმნილი ამხანაგობებისათვის, დაჩქარდეს დევნილთა განსახლების ობიექტებზე არსებული საერთო სარგებლობის ფართების - სხვენების, სარდაფების, კიბის უჯრედების და კორიდორების ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობისათვის კერძო საკუთრებაში გადაცემა; წითელი ხაზების დადგენა; წითელ ხაზებში არსებული მიწის ნაკვეთის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობისათვის კერძო საკუთრებაში გადაცემა.

მნიშვნელოვანია სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის გზით დევნილი და მასპინძელი თემის წარმომადგენლების საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და მათი შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა. მიუხედავად აღნიშნულისა, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამით დევნილებისათვის გადაცემული საცხოვრებელი შენობა-ნაგებობების საკუთრების ფორმის საკითხი რიგ ობიექტებში ჭიანურდება. ამ მიმართულებით, საქართველოს იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სისტემაში ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფები, რომლებიც თანამშრომლობენ ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთან.

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტს პრიორიტეტად მიაჩნია, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების აქტიური ჩართულობით უნდა გაძლიერდეს ჩვენი თანამემამულეებისათვის დევნილთა განსახლების ობიექტებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების შექმნის ხელშეწყობის მიზნით, დევნილთა საზოგადოების მხარდაჭერა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების არსებობის/ჩამოყალიბების აუცილებლობისა და მიღებული სარგებლის, ასევე დევნილთა განსახლების ობიექტებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის საერთო სარგებლობის ფართების გადაცემის პროცედურის შესახებ ინფორმირებულობა/ხელშეწყობა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებში შექმნილი სამუშაო ჯგუფების მეშვეობით. ამ მიმართულებით გააქტიურებულია (პრიორიტეტულია) ჩვენი საქმიანობა;

- დევნილთა საქმეების დეპარტამენტმა განიხილა აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობების 2018 წლის საბიუჯეტო განაცხადები. მათ მიეცათ მითითება, რათა წარმომადგენლობებზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების ხარისხის გაზრდის მიზნით (სამუშაო პირობების გაუმჯობესების კუთხით), მაქსიმალურად გაეთვალისწინებინათ შესაბამისი ხარჯები წარმომადგენლობების ასიგნებებში. სამმართველომ შეისწავლა აღნიშნული საკითხი, შედეგად კი გვინდა გავამახვილოთ ყურადღება იმ ძირითად საკითხებზე, რომლებზედაც აუცილებელია აფხაზეთის ა/რ მთავრობის რეაგირება.

იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობას (2 ერთეული), აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობასა (1 ერთეული) და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებში (2 ერთეული) არსებული ავტოპარკი მთლიანად ამორტიზირებულია და ექვემდებარება ჩანაცვლებას, კერძოდ: წარმომადგენლობების ბალანსზე რიცხული ავტომობილები ამორტიზირებულია და ვერ აკმაყოფილებს ექსპლოატაციისა და მოძრაობის უსაფრთხოების მოთხოვნებს, ხოლო მათი შემდგომი ექსპლოატაცია მოითხოვს ძვირადღირებულ სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას. ამასთანავე, ვერცერთი ავტომობილი ვერ გაივლის სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ დათვალიერებას, რომელიც სახელმწიფო ავტოპარკისათვის მიმდინარე წლის 1 ივლისიდან სავალდებულო იქნება. რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად აფერხებს/შეაფერხებს წარმომადგენლობების სამსახურეობრივი ისეთი ფუნქციების შესრულებას, როგორიცაა გასვლითი შეხვედრები სამოქმედო რეგიონებში განთავსებულ დევნილ მოსახლეობასთან, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში წვევამდელთა გაწვევის ორგანიზება-წვევამდელთა დაუწყება, მცირე და გადაუდებელი სახის სარემონტო სამუშაოების ორგანიზება, ოპერატიულ რეაგირება მოქალაქეთა განცხადებებზე და სხვა.

არასახარბიელო მდგომარეობაა წარმომადგენლობების რეგიონულ ოფისებთან დაკავშირებით, იმერეთის რეგიონის წარმომადგენლობის ოფისს ესაჭიროება მცირე კოსმეტიკური რემონტი და ელექტროგაყვანილობის მოწესრიგება. ამასთანავე, სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურის, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევაზე 2016 წლის N57 მიწერილობის შესაბამისად, იმერეთის, ასევე სხვა წარმომადგენლობებისათვი, ოფისის სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია მათი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით აღჭურვა, რაც ითხოვს დამატებით ასიგნებებს.

რაც შეეხება სამეგრელოს წარმომადგენლობას, შეიძლება ითქვას რომ ოფისი საერთოდ არ ექვემდებარება საჯარო დაწესებულების ფუნქციონირებისათვის ელემენტარულ მოთხოვნებს, შესაბამისად აუცილებელია უფრო მეტი ძალისხმევა, რათა მოძიებულ იქნას შესაბამისი შენობა, რათა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობის საქმიანობა გახდეს უფრო ეფექტური, გაუმჯობესდეს მათი (საჯარო მოხელეების) სამუშაო პირობები და დაკისრებული მოვალეობების შესრულების ხარისხი. ამჟამად კი, სამეგრელოს წარმომადგენლობას 2018 წლის ბიუჯეტის განაცხადში გათვალისწინებული აქვს ის მინიმალური მოთხოვნები (საოფისე ინვენტარის, ოფისის გამაგრილებელი და გამათბობელი სისტემების და კომპიუტერული ტექნიკის შეძენის ხარჯები), რაც ელემენტარულ აუცილებლობას წარმოადგენს.

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა

- აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებ **50**-მდე დევნილ მოქალაქეს გაეწია სამართლებრივი ხასიათის კონსულტაციები სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით (დაბადების მოწმობის აღდგენა, სტაჟის დადგენა, პირადობის მოწმობის აღება, მოქალაქეობის მიღება/აღდგენა, დევნილის სტატუსის მინიჭება/აღდგენა და სხვა, ქონების რეგისტრაცია, მიწის ლეგალიზება და სხვა).
- გრძელდება მოლაპარაკებები სერვისების განვითარების სააგენტოსთან, მოქალაქეთა პერსონალურ მონაცემებზე დაშვებასთან დაკავშირებით. მოლაპარაკების პროცესში სააგენტოს წარედგინა ინფორმაცია და დოკუმენტაცია (ნორმატიული მასალა) როგორც წარმომადგენლობათა, ასევე დეპარტამენტის უფლებამოსილებისა (ფუნქციები) და მონაცემთა ბაზით სარგებლობის საჭიროების (მიზნობრიობის) შესახებ (ბოლო დასაბუთება გაიგზავნა ივნისის თვეში). ხსენებული ინფორმაცია და მასალა შესწავლილ იქნა სააგენტოს მიერ, შესწავლის პროცესში არაერთხელ დაისვა კონკრეტული კითხვები და დაფიქსირდა სააგენტოს მოსაზრებები კონკრეტულ მიმართულებასთან დაკავშირებით, რასაც ამომწურავად და დასაბუთებულად გაეცა პასუხი. მიმდინარეობს პროცესი წარმომადგენლობებისათვის (გარდა ზემო აფხაზეთისა) პერსონალურ მონაცემთა ბაზაზე დაშვებასთან (წვდომა) დაკავშირებით საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად.
- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის, წვევამდელებისა და რეზერვისტების, სოციალურად დაუცველი ფენის (მარტოხელები, ობოლი ბავშვები, ომის ინვალიდები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული ოჯახის წევრები, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები, მრავალშვილიანი ოჯახები) შესახებ ერთიანი მონაცემთა ბაზის პერიოდულ განახლება, ასევე, ,,დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი მატერიალური დახმარების გამცემი კომისიაზე'' შემოსულ განცხადებათა კატეგორიების მიხედვით დახარისხების ხელშეწყობა.
- საანგარიშო პერიოდში, წარმომადგენლობის თანამშრომლები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის სპეციალისტებთან ერთობლივად, ადგილებზე გასვლით, სწავლობდნენ რა დევნილთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და საყოფაცხოვრებო პირობებს, ეხმარებოდნენ მათ პრობლემური საკითხების

გადაწყვეტაში, იგზავნებოდა შუამდგომლობები ადგილობრივი თვითმმართველობის თუ ზემდგომი ორგანიზაციებისა და უწყებების წინაშე სხვადასხვა სასიცოცხლო პრობლემების, სოციალური მდგომარეობის, ჯანმრთელობის დაცვის და ა.შ. მოგვარების მიზნით. შესწავლის პროცესში ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო საცხოვრებელი შენობების ტექნიკურ მახასიათებლებზე, საცხოვრებლად ვარგისიანობაზე, მათ პრივატიზაციაზე, პრივატიზებული ბინების რაოდენობაზე, საერთო ფართზე, გაზიფიცირებაზე, ელექტრომრიცხველების განმხოლოებაზე, პრივატიზებულ საცხოვრებლებში ამხანაგობების შექმნაზე და სხვა პრობლემურ და მნიშვნელოვან საკითხებზე.

❖ 2017 წლის 9 თვის მდგომარეობით, დადგინდა, რომ დაკავებული საცხოვრებელი ფართები პრივატიზებული აქვს **18000** ოჯახს (**68500** სული), სოფლად სახლის პროგრამის ფარგლებში დაკმაყოფილებულია **664** ოჯახი (**4100** სული). მცირე სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდა **14** დევნილთა კოლექტიური ჩასახლების ობიექტს.

❖ წარმომადგენლობის სპეციალისტების აქტიური ჩარევის შედეგად ელექტროენერგიის მიწოდებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხი მოუგვარდათ ქ. თბილისში, უზნაძის ქ.N8 ყოფილ თელასის შენობაში მცხოვრებ დევნილებს, რომლებსაც დავალიანების გამო შეწყვეტილი ჰქონდათ ელექტროენერგიის მიწოდება, შემუშავებულ იქნა დავალიანების დაფარვის გრძელვადიანი გრაფიკი, რის შემდგომაც ენერგიის მიწოდება აღდგა. ანალოგიური პრობლემა მოგვარებულ იქნა თევდორე მღვდლის N13-ში განსახლებულ დევნილებისთვის. აქ განსახლებულ **14** ოჯახზე დამატებით მოწოდებული იქნა საწვავი შეშის გარკვეული რაოდენობა - (1,5-2,0 მ³) საჭიროების მიხედვით. ასევე, წარმომადგენლობის სპეციალისტების აქტიური ჩარევის შედეგად, ელექტროენერგიის დავალიანება გაუნულდათ თელავში ყოფილი გვარდიის შენობაში განსახლებულ დევნილ მოსახლეობას, რის შესახებაც ისინი აფხაზეთის ა/რ მთავრობისადმი გამოგზავნილ კოლექტიურ წერილში ითხოვდნენ თანადგომას. დეტალურად იქნა შესწავლილი ჩხაიძის №8 განსახლებულ დევნილთა საცხოვრებელი პირობები და მოთხოვნა დაკავებული ფართების საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, მათი გარკვეული ნაწილი დაკმაყოფილებული აღმოჩნდა გრძელვადიანი განსახლების პროგრამის ფარგლებში, ხოლო ნაწილს რომელთა მოთხოვნებიც შეესაბამებოდა არსებულ კანონმდებლობას გაეწიათ შუამდგომლობა.

❖ წარმომადგენლობის ხელმძღვანელობისა და შესაბამისი სამსახურების მიერ დადებითად გადაწყდა ქ. ბორჯომში ყოფილი საავადმყოფოს შენობაში შესახლებულ დევნილთა კოლექტიურ განცხადებაში მოყვანილი ხარვეზების აღმოფხვრის საკითხი, რომელიც შეეხებოდა ახლადგარემონტებული შენობის სარეაბილიტაციო და სარემონტო სამუშაოებს. აღნიშნულის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქ. ბორჯომის მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელობამ, მაგრამ პრობლემა გამოიწვია წყალმომარაგების სისტემის მწყობრიდან გამოსვლამ ექპლოატაციაში გაშვებისთანავე, შედეგად ჩაირეცხა კედლები, ჩამოცვივდა ბათქაში. დღეისათვის, აღდგენითი სამუშაოები შესრულებულია. ამ მიმართულებით მოსახლეობის მოთხოვნა, რომელსაც ისინი სამართლიანად აყენებდნენ აფხაზეთის ა/რ მთავრობის წინაშე მოიხსნა, ყველა ხარვეზი, რომელთაც თავი იჩინეს შენობის ექსპლოატაციისთანავე, ლიკვიდირებულია

❖ წარმომადგენლობის ხელმძღვანელობა და შესაბამისი სამსახურები აქტიურად არიან ჩართული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებულ აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის უფასო სამედიცინო გამოკვლევის (პირველადი მოთხოვნილების მედიკამენტების უსასყიდლოდ

გადაცემა) პროგრამის განხორციელებაში, კერძოდ, მიმდინარე წლის მარტის თვეში აღნიშნული აქცია ჩატარდა დაბა წყნეთში განსახლებული დევნილი ოჯახებისათვის, ჯანმრთელობის მდგომარეობა გამოიკვლია 300-მდე ბენეფიციარმა, მათვე უსასყიდლოდ გადაეცათ პირველადი მოთხოვნილების მედიკამენტები. ანალოგიური აქცია განხორციელდა ბოლნისის რაიონში, სადაც გამოკვლევას დაექვემდებარა 150 დევნილი.

❖ წარმომადგენლობა აქტიურად მონაწილეობდა წიგნის - ,,მომავლისათვის მარადისობაში'' პრეზენტაციის ორგანიზებაში, როგორც ქ. თბილისში, ასევე, ქ. გორში. 200-ზე მეტ ქართულ-აფხაზური ომის დროს დაღუპული მეომრის ოჯახს გადაეცა გმირების საგმირო საქმეთა და მოკლე ბიოგრაფიული ნარკვევების შემცვლელი წიგნი. ნაშრომის გამოცემა კვლავაც გაგრძელდება, ფოტოსურათებისა და საბრძოლო მოკვლევების მოძიებასა და სარედაქციო კოლეგიისათვის მიწოდებას აგრძელებს წარმომადგენლობის სამსახურები.

❖ შინაარსიანი და ბავშვებისათვის სასიხარულო, საზეიმო განწყობის შემქმნელი გამოდგა ქ. რუსთავის მერიის მიერ დაფინანსებული და წარმომადგენლობის ქვემო ქართლისა და კახეთის განყოფილების მიერ ორგანიზებული საახალწლო კონცერტები, რომელთა მიმდინარეობის პროცესში დევნილ ბავშვებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები და საახალწლო ნობათი. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 100 დევნილმა მოზარდმა. როგორც ქ. თბილისში, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში მობილიზებულ იქნა 14-17 წლის 103 გოგონა, რომელთაც გაიარეს კონკურსი და მათგან 17-მა მონაწილეობა მიიღო ,,გროუ ბანაკში'', რომელიც ჩატარდა აგვისტოს თვეში დაბა წყნეთში, ბაქსვუდის სახლში.

❖ საანგარიშო პერიოდში, 70 დევნილს გაეწია კონსულტაცია სახელმწიფოს მიერ შემუშავებული პროგრამების ფარგლებში. არაერთ სტუდენტს გაეწია შუამდგომლობა სწავლის (სტუდენტის სტატუსის) აღდგენის, საფასურის გადანაწილებისა და სხვა მათ წინაშე მდგომი პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირებით. სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სოფლად დევნილთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, 43 დევნილს (დევნილთა ჯგუფს) გაეწია სამართლებრივი და ტექნიკური ხასიათის კონსულტაცია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის, მათი ორგანიზების, ზოგადად სოფლის მეურნეობის სფეროსა და ,,აწარმოე საქართველოში'' და „დანერგე მომავალი"-ს პროგრამებით სარგებლობასთან დაკავშირებით როგორც ქ. თბილისში, ასევე, ბორჯომში, გორში, ხაშურში, თელავში, გურჯაანში, ბოლნისში და გარდაბანში.

❖ ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის და კახეთის რეგიონებში ყოფნისას, წარმომადგენლობის სპეციალისტების მიერ იქ განსახლებული დევნილი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების შესწავლასთან ერთად, იგპ-ებს ადგილზე შეავსებინეს განცხადებები ერთჯერადი ფულადი დახმარების მიღების თაობაზე სოციალური კატეგორიების მიხედვით, ისინი დღეისათვის უკვე დაკმაყოფილებულია ფულადი თანხით.

❖ შიდა ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში განსახლებული დევნილი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს გაეწიათ კონსულტაციები ,,იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საარსებო წყაროების ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამის'' ფარგლებში.

❖ მე-2 მსოფლიო ომში გამარჯვების დღესასწაულთან დაკავშირებით, ომის მონაწილე 17 ვეტერანს გადაეცა ფულადი დახმარება 150 ლარის ფარგლებში. წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა მოინახულა და სადღესასწაულო ნობათი გადასცა ქ.გორში განსახლებულ ომის ვეტერანს, სოხუმის საპატიო მოქალაქეს, მარუხის უღელტეხილზე გამართული

ბრძოლების მონაწილეს ბატონ ირაკლი ყანდარელს. ასევე საჩუქრები გადაეცა მას დაბადების დღესთან დაკავშირებით 2017 წლის ნოემბრის თვეში.

❖ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, წარმომადგენლობის ორგანიზებით, **300**-მდე დევნილ ოჯახს აფხაზეთის ა/რ მთავრობის სახელით გადაეცათ სააღდგომო ნობათი, ხოლო ყოფილ **165**-ე ბაგა-ბაღში განსახლებულ **34** დევნილ ოჯახს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ და წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა, ადგილზე გადასცეს აღნიშნული ნობათი.

❖ წარმომადგენლობამ მონაწილეობა მიიღო და ორგანიზება გაუწია დევნილი მოსახლეობის დასწრებას აკადემიკოს ილია ვეკუას 110 წლისთავისა და პროფესორ შალერ ბენიას 70 წლისთავის ხსოვნისადმი მიძღვნილ სხდომებში, რომლებიც სხვადასხვა დროს ჩატარდა მეცნიერებათა აკადემიის სააქტო დარბაზში. ასევე, აფხაზეთის დღეებში, რომლის დასკვნითი საღამო ჩატარდა შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობაში.

❖ წარმომადგენლობის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ ჩატარებულ სპორტულ ღონისძიებებში - ფეხბურთში, ჭადრაკში, ჯომარდობაში. ასევე, მონაწილეობენ ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მშენებლობაში, მცირე სამუშაო ჯგუფები ყოველკვირეულად აწარმოებენ სხვადასხვა სახის სამუშაოებს. მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის ომში დაღუპული გმირების სულის მოსახსენიებელ პარაკლისში, რომელიც აღევლინება ყოველი თვის, ბოლო შაბათ დღეს, მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში.

❖ წარმომადგენლობამ ორგანიზება გაუწია აფხაზეთის ა/რ მთავრობის მიერ გამოყოფილი ფულადი თანხების გადაცემას აფხაზეთიდან დევნილი **35** ბენეფიციარისათვის, რომელნიც დაზარალდნენ ბავშვთა სამყაროში გაჩენილი ხანძრის შედეგად.

საანგარიშო პერიოდში სულ შემოსულია **2105,** ხოლო გასულია **1966** კორესპოდენცია.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა

❖ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მცხოვრებ **980**-მდე აფხაზეთიდან დევნილ მოქალაქეს გაეწიათ სხვადასხვა სახის კონსულტაციები (დაბადების მოწმობის აღდგენა, პირადობის მოწმობის აღება, მოქალაქეობის მიღება/აღდგენა, დევნილის სტატუსის მინიჭება/აღდგენა, სტაჟის დადგენა, და სხვა).

❖ საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის პირველადი აღრიცხვის რეგისტრაცია სოციალურად დაუცველი ფენის (მარტოხელები, ობოლი ბავშვები, ომის ინვალიდები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული ოჯახის წევრები, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები, მრავალშვილიანი ოჯახები) შესახებ ერთიანი მონაცემთა ბაზის პერიოდული განახლების მიზნით, ასევე ,,დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი მატერიალური დახმარების გამცემ კომისიაზე'' შემოსულ განცხადებათა კატეგორიების მიხედვით დახარისხება.

❖ საანგარიშო პერიოდში პერიოდულად მოწმდება სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში განთავსებული დევნილთა საცხოვრებელი ობიექტები (**452** ობიექტი), დღეის მდგომარეობით ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში შეყვანილია ინფორმაცია ყველა შესწავლილი ობიექტის შესახებ. შესწავლის პროცესში ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო საცხოვრებელი შენობების ტექნიკურ მახასიათებლებზე, მათ პრივატიზაციაზე, გაზიფიცირებაზე, ელექტრომრიცხველების განმხოლოებაზე და იმ პრობლემურ საკითხებზე, რომლებსაც მოსახლეობა ხშირ შემთხვევაში სამართლიანად აყენებს სახელისუფლებო უწყებების წინაშე. დაზუსტდა საცხოვრებელ ობიექტებში განსახლებულ დევნილთა რაოდენობა სოციალური კატეგორიების მიხედვით. წარმომადგენლობის სამსახურებმა მონაწილეობა მიიღეს არაერთი ჰუმანიტარულ აქციისა და კულტურული ღონისძიების წარმატებით ჩატარებაში.

❖ წარმომადგენლობის სამოქმედო არეალში ფუნქციონირებს აფხაზეთის რვა საჯარო სკოლა, აქედან ქალაქ ზუგდიდსა და ზუგდიდის რაიონში ხუთი სკოლა და თითო-თითო სენაკში, ჩხოროწყუსა და ქალაქ ფოთში. დამყარებულია მჭიდრო კომუნიკაცია აღნიშნული სკოლების ხელმძღვანელებთან, წარმომადგენლობა ინფორმირებულია მათ წინაშე წამოჭრილ პრობლემების შესახებ და პერიოდულად უწევს შუამდგომლობას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წინაშე, რათა შესაძლებლობების ფარგლებში გაეწიოთ დახმარება.

❖ აფხაზეთის პრობლემატიკასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხების წამოწევის მიზნით, წარმომადგენლობა ატარებს შეხვედრებს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის

წარმომადგენლებთან, ასევე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან (ჩატარებულია 10 შეხვედრა), სადაც განიხილება აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული სოციალურ-ეკონომიური და კრიმინალური მდგომარეობა.

❖ წარმომადგენლობა აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან დევნილთა კოლექტიური ჩასახლების ცენტრებში არსებული პრობლემების მოგვარების მხრივ. აფხაზეთიდან დევნილ 360 პირს გაეწია შუამდგომლობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ქალაქ ზუგდიდის მერიის წინაშე სოციალური დახმარების გაწევის მიზნით.

❖ საანგარიშო პერიოდში, წარმომადგენლობის სამოქმედო არეალში განთავსებულ აფხაზეთიდან დევნილ 70-მდე ოჯახს გაეწია შუმადგომლობა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს აჭარა, სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს წინაშე, საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილებაზე, გარემონტებაზე და სოფლად სახლის შესყიდვასთან დაკავშირებით;

❖ შობის დღესასწაულთან დაკავშირებით, აფხაზეთიდან დევნილ 15 ოჯახს გადაეცა სასაჩუქრე კალათა;

❖ ხობის რაიონში, ვეტერანთა დეპარტამეტის წარმომადგენლებთან ერთად 6 აფხაზეთიდან დევნილ ოჯახს გადაეცა საშობაო საჩუქრები;

❖ მარტვილის რაიონის მე-3 საჯარო სკოლის შენობაში მცხოვრები დევნილებისთვის წარმომადგენლობის თხოვნითა და ადგილობრივი თვითმმართველობის დახმარებით, გაიმართა საახალწლო კონცერტი და ბავშვებს გადაეცათ საჩუქრები, ასევე, სოფელ ქვაითში მცხოვრებ 100 წელს გადაცილებულ აფხაზეთიდან დევნილ მარო ხუნწელიას გადაეცა საშობაო საჩუქარი;

❖ წარმომადგენლობის შუამდგომლობით, წალენჯიხის რაიონში მცხოვრებ 7 აფხაზეთიდან დევნილ ოჯახს, ადგილობრივმა თვითმმართველობამ გამოუყო შეშა გამოსაზამთრებლად;

❖ წარმომადგენლობის შუმადგომლობით და ლიბერთი ბანკის დახმარებით ზუგდიდის რაიონის, სოფელ ახალსოფელში მდებარე დევნილთა კოლექტიური ჩასახლების ობიექტის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ცხოვრობს 84 დევნილი ოჯახი, იმუშავებს სპეციალური ტექნიკით აღჭურვილი ავტომანქანა, რომლის მეშვეობით, იქ მცხოვრები დევნილები ადგილზე შეძლებენ აიღონ მათზე დარიცხული შემწობის თანხები;

❖ წარმომადგენლობის შუამდგომლობით, ზუგდიდის რაიონის, სოფელ ახალაბასთუმანში მდებარე, დევნილთა კოლექტიური ჩასახლების ობიექტის, ყოფილი რკინა-ბეტონის ქარხნის

ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედანი იქნა აღდგენილი ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ;

❖ წარმომადგენლობის ძალისხმევით, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ქვედა ჩხოროწყუში მდებარე, ყოფილი ბაგა-ბაღის დევნილთა კოლექტიური ჩასახლების ობიექტში, სადაც ცხოვრობს **12** ოჯახი, სპეციალური ტექნიკის მეშვეობით გაწმენდილი იქნა საკანალიზაციო სისტემა;

❖ 17 თებერვალს, წარმომადგენლობის ხელმძღვანელობამ, სამუშაო შეხვედრა გამართა ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურთან, აღნიშნულ შეხვედრაზე განხილულ იქნა, ქალაქის ტერიტორიაზე არსებული აფხაზეთის სკოლებისა ჩართულობის საკითხები, ადგილობრივი თვითმართველობების მიერ ჩასატარებელ ღონისძიებებში (პროექტებში). ერთ–ერთი ასეთი პროექტის ,,ჩაერთე შენი ქალაქის კულტურული მემკვიდრეობის კვლევაში" ფარგლებში მონაწილეობა მიიღეს ქ. ზუგდიდში განთავსებულმა აფხაზეთის №1 და №12 სკოლის მოსწავლეებმა.

❖ 8 მარტს, წარმომადგენლობის შუამდგომლობით, ქალაქ ფოთში მცხოვრებ ლუიზა შონიას გადაეცა ინვალიდის ეტლი. ასევე მერიის დახმარებით, **14** მარჩენალდაკარგულ ოჯახს გადაეცა სასაჩუქრე კალათა;

❖ წარმომადგენლობის სპეციალისტები მონაწილეობდნენ საქართველოს ენდემური სახეობისა და წითელი ნუსხით დაცული მცენარის – კოლხური ბზის მავნებელ დაავადებისაგან გადარჩენის მიზნით შემდგარ საინფორმაციო შეხვედრაში, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს სატყეო სააგენტოს სამეგრელო ზემო–სვანეთის სატყეო სამსახურის, ადგილობრივი ხელისუფლების, სამოქალაქო სექტორის თანამშრომლები. აღნიშნული ღონისძიება ჩატარდა ასოციაცია ,,აგორა"-ს, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (**UNDP**), ერთობლივი ინიციატივა **COBERM**-ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში;

❖ მარტვილის რაიონში, 23 მარტს, ყოფილი მე-3 საჯარო სკოლის კომპაქტური ჩასახლების ობიექტში მოეწყო შეხვედრა ფონდი ,,ტასოს"-ს წარმომადგენლებთან, რომლებმაც წარმოადგინეს პროექტი ბავშვთა გასართობი ცენტრის მოწყობაზე და სამკერვალო საამქროს გახსნასთან დაკავშირებით, სადაც დასაქმდებიან როგორც ადგილობრივები, ასევე აფხაზეთიდან დევნილებიც;

❖ აპრილის თვეში, სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივით და წარმომადგენლობის ორგანიზებით შედგა შეხვედრა სენაკის, მარტვილის, ხობის რაიონებში და ქ. ფოთში მცხოვრები, აფხაზეთის ომში დაღუპული მეომრების ოჯახის წევრებთან. შეხვედრას ესწრებოდნენ აფხაზეთის მთავრობის

წევრები, სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელი და გამგეობის თანამშრომლები, საკრებულოს თავმჯდომარე და წარმომადგენლობის ხელმძღვანელობა. შეხვედრაზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ბატონმა ვ. ყოლბაიამ ამ ოჯახის წევრებს გადასცა ახალი რედაქციით გამოშვებული წიგნი "მომავლისთვის მარადისობაში", აფხაზეთის ომში დაღუპული მეომრების მოკლე ბიოგრაფიით და სურათებით ილუსტრირებული. ასევე, ანალოგიური შეხვედრა შედგა აბაშის რაიონში მცხოვრებ, აფხაზეთის ომში დაღუპული ოჯახის წევრებთან;

❖ აპრილის თვეში, ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელში გაიხსნა აგრომეტეოროლოგიური სადგური, რომლის დაფარვის ზონაში მოხვდა გალის რაიონის სოფელი ოტობაია (კონფლიქტის ზონა), წარმომადგენლობის უშუალო მონაწილეობით სოფ. ოტობაიის მოსახლეობა ჩაერთო სპეციალურ პროგრამაში, რომლის საშუალებითაც ისინი ყოველდღიურად ღებულობონ sms-ით ინფორმაციას მოსალოდნელ ამინდზე, ასევე სხვადასხვა კლიმატურ და მეტეოროლოგიურ მონაცემებზე;

❖ 11 მაისს წარმომადგენლობის ხელმძღვანელობას ჰქონდა შეხვედრა ასოციაცია "საქართველოს SOS ბავშვთა სოფელი"-ს ზუგდიდის ოფისში. ასოციაცია მოქმედებს საერთაშორისო ორგანიზაციის - SOS Children's Villages International-ის წესდებისა და პრინციპების შესაბამისად. ორგანიზაციამ ივნისის თვეში წარუდგინა შემუშავებული საპროექტო განაცხადი ავსტრიის სპორტის სამინისტროს განსახილველად. პროექტის მთავარი მიზანი იყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირში, დევნილთა ჩასახლებაში (ყოფილი სკოლა-ინტერნატის შენობა) განვითარდეს სპორტულ-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურა, რომელიც ითვალისწინებს სპორტული მოედნების (კალათბურთისა და ფეხბურთის) მოწყობას, ასევე, სავარჯიშო ინვენტარით აღჭურვას;

❖ 20-21 ივნისს, ქ. ზუგდიდში ჩატარდა საქართველოს ახალგაზრდული სპორტული ფესტივალი, სახელწოდებით - ,,სპორტი ბარიერების გარეშე" შემდეგ სახეობებში: ფეხბურთი, ჭადრაკი, კალათბურთი. წარმომადგენლობის ორგანიზებით, სპორტულ ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთიდან დევნილმა და ამჟამად ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრებმა ბავშვებმა. მიუხედავად აკრძალვისა, მათ გადმოლახეს საზღვარი დიდი რისკის ქვეშ. მოსწავლეებს თან ახლდნენ სკოლის დირექტორები და მასწავლებლები. ფესტივალში მონაწილეობდნენ შემდეგი სოფ. სკოლები: განახლება, ოტობაია, ფიჩორი, გაგიდა, თაგილონი, ნაბაკევი, საბერიო, ჩეღალი, ლეკუხონა და სიდა. აღსანიშნავია, რომ მინი-ფეხბურთში გაიმარჯვა სოფ, საბერიოს სკოლის გუნდმა. ჩემპიონები დასაჩუქრდნენ სამახსოვრო პრიზებით, მედლებით, დიპლომებით და თასებით;

❖ წარმომადგენლობის ოფისში, შეხვედრა შედგა სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილეს ბ-ნ ზ. ლიპარტიას, აფხაზეთის ა/რ მთავრობის სოფლის მეურნეობის

დეპარტამენტის თავმჯდომარე ბ-ნ ვ. ბასარიას, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს ბ-ნ ა. ჩიკვაიძეს, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) წარმომადგენელს შორის, სადაც ისაუბრეს სახელმწიფო პროგრამით 2017 წელს გათვალისწინებულ ინვაზიური მავნებლის აზიური ფრთოსანას საწინააღმდეგო ღონისძიებებზე. განიხილეს მთელი რიგი ორგანიზაციული და ტექნიკური საკითხები და მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მავნებელთან ბრძოლის აღჭურვილობა გადაეცათ აფხაზეთის ა/რ ოკუპირებული ტერიტორიიდან წარმოდგენილ წარმომადგენლებზე, თხილის ნარგავების შესაწამლად;

❖ წარმომადგენლობის შუამდგომლობით, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში განთავსებულ აფხაზეთიდან დევნილ **33** ოჯახს, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების მიერ სააღდგომოდ გადაეცათ სხვადასხვა სახის საჩუქრები;

❖ წარმომადგენლობის შუამდგომლობით, **12** მზრუნველობა მოკლებულ და მრავალშვილიან ოჯახებს გაეწიათ დახმარება საკვები პროდუქტებით;

❖ 2017 წლის 2 აგვისტოს, სამეგრელო ზემო–სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი თანამშრომლებთან ერთად იმყოფებოდა მესტიის მუნიციპალიტეტში, სადაც გაიმართა სამუშაო შეხვედრა გამგებლის პირველ მოადგილესთან ქალბატონ ნელი ნავერიანთან. შეხვედრაზე ისაუბრეს მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები, აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის სოციალური პრობლემების მოგვარების გზებზე, განხორციელებულ და განსახორციელებელ სამუშაოებზე, ასევე უფასო სამედიცინო გამოკვლევების ჩატარების საორგანიზაციო საკითხებზე. მოგვიანებით გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობასთან;

❖ 2017 წლის 3 აგვისტოს, წარმომადგენლობამ ორგანიზება გაუწია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაცია ,,საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის'' ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე დევნილ პირებისთვის ადაპტირებული გადასაადგილებელი ეტლების გადაცემაში;

❖ 2017 წლის 15 აგვისტოს, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ალექსანდრე ჩიკვაიძის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის ლაშა გოგიას თანამონაწილეობითა და მხარდაჭერით, დაფინანსებული იქნა ზუგდიდში, საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრები, სოციალურად დაუცველი, 6 წლამდე ასაკის **15** ბავშვის (დედებთან ერთად) ტრანსპორტირება დაბა სურამში, სადაც მათ 10 დღის განმავლობაში გაიარეს რეაბილიტაციის კურსი;

❖ წარმომადგენლობის მთავარი მრჩევლის შუამდგომლობით, აფხაზეთიდან დევნილი **20** პირი დასაქმებული იქნა თხილის გადამამუშავებელ ქარხანაში. ასევე, მისი ინიციატივით, **40**-მდე დევნილს გადაეცა სხვადასხვა სახის პირველადი მოხმარების საგნები და ჰიგიენის საშუალებები;

❖ წარმომადგენლობის შუამდგომლობით და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს ძალისხმევით, აფხაზეთიდან დევნილებისათვის უფასო სამედიცინო შემოწმებები ჩატარდა მესტიის მუნიციპალიტეტში (9-10 სექტემბერი), ასევე, აფხაზეთიდან დევნილებისათვის უფასო სამედიცინო შემოწმებები ჩატარდა ქ. ზუგდიდში (23-24 სექტემბერი), რომლის ფარგლებშიც აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტრომ დევნილებს უფასოდ გაუწია სხვადასხვა სახის ლაბორატორიული გამოკვლევები, კონსულტაციები და გადასცა მედიკამენტები;

❖ ქალაქ ფოთში, ახალ რაიონში მიმდინარე საბავშვო ბაღის მშენებლობაზე წარმომადგენლობის რეკომენდაციით, დასაქმებული იქნა **5** აფხაზეთიდან დევნილი პირი;

❖ წარმომადგენლობის შუამდგომლობით და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დახმარებით, ფოცხოს დასახლებაში დევნილებით ჩასახლებულ ორ კორპუსს მოუწესრიგდა საკანალიზაციო სისტემა;

❖ წარმომადგენლობის შუამდგომლობით და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დახმარებით, ჯვარის საერთო საცხოვრებელს, სადაც ცხოვრობენ აფხაზეთიდან დევნილები, ჩაუტარდა სახურავის რემონტი;

❖ მარტვილში, მშვიდობის ქუჩა 114-ში მცხოვრები დევნილებისთვის, განხორციელდა პროექტი, ბავშვთა გასართობი მოედნის მოსაწყობად. საჭირო თანხა (**8000** ლარი) გამოყოფილ იქნა ორგანიზაცია „დიპლომატის ცოლები“-სა და არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰერა“-ს მიერ.

❖ წარმომადგენლობის შუამდგომლობით, მარტვილის მუნიციპალიტეტის მიერ აფხაზეთიდან დევნილ **2** ოჯახს გაეწია ფულადი დახმარება;

❖ წარმომადგენლობის შუამდგომლობით, ჩხოროწყუს რაიონში მცხოვრებ ფრიდონ კოხიას მრავალშვილიან, ხანძრით დაზარალებულ ოჯახს, ადგილობრივმა მერიამ სახლის შესარემონტებლად გამოუყო **2500** ლარი;

❖ წარმომადგენლობის შუამდგომლობით, ჩხოროწყუს რაიონში მცხოვრებ **12** სოციალურად დაუცველი ოჯახისათვის, ადგილობრივმა მერიამ გამოჰყო ერთჯერადი ფულადი დახმარება;

❖ წარმომადგენლობის შუამდგომლობით, წალენჯიხის გამგეობამ საახალწლო საჩუქრები გადასცა უკიდურესად გაჭირვებულ **27** დევნილ ოჯახს;

❖ წარმომადგენლობის რეკომენდაციით, დევნილთა საარსებო წყაროებისა და გაეროს ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულია ჯგუფური და ინდივიდუალური პროექტები. ამ პროექტების ფარგლებში 80%-იანი თანადაფინანსება მიიღეს მარტვილში მცხოვრებმა დევნილებმა. სულ 6-მა ოჯახმა, თითოეულმა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შესაძენად მიიღო 1500-დან 2000-ლარამდე.

❖ წარმომადგენლობა კვლავ აწარმოებს აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების დაფიქსირებას და ინფორმაცია დროულად მიეწოდება შესაბამის ორგანოებს, სათანადო რეაგირებისათვის.

საანგარიშო პერიოდში სულ შემოსულია 1123, ხოლო გასულია 1001 კორესპოდენცია.

იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა

❖ სამოქმედო რეგიონში განთავსებული აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლებისა და მათ წინაშე არსებული სოციალურ-ეკონომიკური და ყოფითი პრობლემების შესწავლისა და მოგვარების ხელშეწყობის მიზნით, მოეწყო გასვლითი შეხვედრები რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში. პროგრამის ფარგლებში დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ობიექტებში მცხოვრებ მოქალაქეებს მიეწოდათ ინფორმაცია ქვეყნის ცენტრალური, მუნიციპალური და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ დაგეგმილი იმ პროგრამებისა და სერვისების შესახებ, რომლებითაც შეუძლიათ ისარგებლონ იძულებით გადაადგილებულმა პირებმა;

❖ შეხვედრებზე გამოვლენილი პრობლემების აღმოფხვრის ხელშეწყობის მიზნით, წარმომადგენლობა აქტიურად თანამშრომლობდა შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან, არასამთავრობო და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან, სხვადასხვა საკითხებისა და წინადადებების ლობირების გზით. ასევე საკუთარი რესურსებით ახდენდა რიგი პრობლემატური საკითხების მოგვარებას;

❖ გასვლით შეხვედრებზე, დევნილ მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამისა და პროექტის „აწარმოე საქართველოში“ შესახებ. ასევე წარმომადგენლობის მიერ დევნილთა დასაქმებისათვის შემუშავებული ღონისძიებების შესახებ;

❖ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის რეალიზების ხელშეწყობის მიზნით, მოეწყო კონსულტაციები საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მსურველ არასამთავრობო ორგანიზაციებთან;

❖ დასაქმების სამუშაო ჯგუფის წევრები აქტიურად საქმიანობენ სამუშაო ადგილების, ვაკანსიების, საკრედიტო და საგრანტო ხაზების მოძიებისა და დაინტერესებულ პირთათვის სათანადო ინფორმაციის მოწოდების მიმართულებით.

❖ წარმომადგენლობის ინიციატივით, მეორე კვარტლიდან, ქ. ქუთაისში, დევნილთა საკუთრებაში გადაცემული საცხოვრებელი კორპუსების ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებთან ტარდება ყოველთვიური შეხვედრები. პროგრამა ატარებს საპილოტე ხასიათს. შეხვედრებზე განიხილება როგორც ინფრასტრუქტურული ასევე სოციალური და სხვა სახის პრობლემები;

❖ იგპ-თა საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის ამაღლებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, შემუშავდა სამუშაოს მაძიებელთა სპეციალური ანკეტების ფორმები და შეიქმნა ელექტრონული ბაზები (რეესტრები);

❖ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამებით ისარგებლა 23-მა ბენეფიციარმა, რომლებმაც უფასოდ გადაიღეს მაგნიტურ-რეზონანსული კომპიუტერული ტომოგრაფია;

❖ წარმომადგენლობის შუამდგომლობით, საქართველოს ვეტერანების სახელმწიფო სამსახურის დაფინანსებით, შეიარაღებული ძალების 3 ვეტერანს ასევე ჩაუტარდა მაგნიტურ-რეზონანსული კომპიუტერული ტომოგრაფია, ხოლო ერთს კორონოგრაფია;

❖ წარმომადგენლობის შუამდგომლობით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, წყალტუბოში მცხოვრებ დევნილ ინვალიდს გადასცა ინვალიდის ეტლი;

❖ წარმომადგენლობის თანამშრომლების მიერ მომზადებულია და წინასწარი შეთანხმებით, შემდგომი რეაგირებისათვის აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტროშია გადაგზავნილი სათანადო დოკუმენტაცია 5 ინვალიდზე, რომლებიც საჭიროებენ ინვალიდის ეტლს. შედეგად, ხუთივე ბენეფიციარს უკვე გადაეცა ეტლები, ხოლო 2 ბენეფიციარის მონაცემები გადაგზავნილია სამინისტროში;

❖ წარმომადგენლობის ხელმძღვანელისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელების პირადი და უშუალო ჩარევით, დროულად იქნენ ინფორმირებული სამინისტროს ხელმძღვანელი პირები, რომელთა ძალისხმევით დადებითად გადაწყდა მოხმარებული სასმელი წყლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებული, რეგიონში წარმოქმნილი პრობლემა;

❖ საქართველოს ვეტერანების საკითხთა სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა წარმომადგენლობის შუამდგომლობა და მიმდინარე წლის 10 აგვისტოს, ქ. ქუთაისში, წარმომადგენლობის ოფისში გაიმართა სსიპ საქართველოს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტების დამდგენი კომისიის გასვლითი სხდომა. ეს აღნიშნული კომისიის პირველი გასვლითი სხდომა იყო რეგიონში, რასაც წინ უსწრებდა წარმომადგენლობისა და სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელების ერთობლივი ინიციატივა - შეთანხმება, რაც ერთის მხრივ მიზნად ისახავდა

ვეტერანის სტატუსის მაძიებელ მოქალაქეთათვის ქ. თბილისში კომისიაზე გამოცხადებასთან დაკავშირებული გარკვეული პრობლემებისა და დისკომფორტის აღმოფხვრა-მოგვარებისა და მეორეს მხრივ, რეგიონში განთავსებული ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა წინაშე არსებული პრობლემების გაცნობას. კომისიას ხელმძღვანელობდა სსიპ საქართველოს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის უფროსის მოადგილე ბატონი ჯანრი უბირია. სხდომაზე განიხილეს **33** ვეტერანის სტატუსის მაძიებლის საქმე, მათ შორის, **17** აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი იყო. სხდომის მუშაობაში დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობდა წარმომადგენლობის ხელმძღვანელი და ვეტერანთა წარმომადგენლები. სხდომის დასრულების შემდეგ გაიმართა მსჯელობა სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე, რომლებზეც მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს საკუთარი ხედვები, სამსახურის ხელმძღვანელებმა გასცეს გარკვეული განმარტებები და უპასუხეს ვეტერანთა წარმომადგენლების შეკითხვებს;

- ❖ საანგარიშო პერიოდში წარმომადგენლობის მიერ **250** მოქალაქეს გაეწია სრულყოფილი კონსულტაცია ვეტერანის სტატუსისა და საშეღავათო პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით;
- ❖ ერთგვარად დადებითი სოციალურ-მორალური ეფექტით ხასიათდებოდა საახალწლო ნაძვისხის ზეიმი, რომელიც საქაართველოს პარლამენტში მოეწყო. მასში მონაწილეობა მიიღო 6-დან 12-მდე ასაკის **150** დევნილმა ბავშვმა, რომელთა შერჩევა და ღონისძიებაზე ორგანიზებულად მიყვანა მთლიანად უზრუნველყო წარმომადგენლობამ;
- ❖ გასვლით შეხვედრებზე დაფიქსირებული დევნილთა წინაშე არსებული საყოფაცხოვრებო ხასიათის პრობლემების მოგვარების მიზნით წარმომადგენლობამ თავისის საქმიანობა წარმართა სამი მიმართულებით:

- ✓ ამხანაგობების ჩამოყალიბების პროცესის ხელშეწყობა დევნილთა ჩასახლების იმ ობიექტებში, რომლებიც მათ გადაეცათ დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პროგრამის ფარგლებში და დაუკანონდათ;
- ✓ დევნილთა მართლზომიერ სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ კორპუსებში მცირე და გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება;
- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და ადგილობრივ მუნიციპალურ შესაბამის პროგრამებში ჩართულობის ხელშეწყობა/ლობირება.

- ❖ პირველი მიმართულებით, წარმომადგენლობამ წინასწარ მოამზადა და შეხვედრებისას ობიექტების ლიდერებს გადასცა სპეციალური ნაბეჭდი მასალა, რომელშიც აღწერილია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ჩამოყალიბების ინსტრუქცია. შეხვედრებისას გამოიკვეთა ისეთი ობიექტებიც, რომლებშიც შექმნილია ამხანაგობები, მაგრამ ამხანაგობის ადმინისტრაციას ამოწურული აქვს უფლებამოსილების ვადები. მათ მიეცათ რეკომენდაციები საქმიანობის აღდგენა -გაგრძელებისათვის.

❖ გარკვეული პრობლემები შეიქმნა ბათუმში, აფხაზეთის ქუჩაზე მდებარე ე.წ. ბენზეს დასახლებაში, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ჩამოყალიბების საქმეში. კერძოდ: იმის გამო, რომ დასახლებაში სხავადასხვა მიზეზით, ჯერ კიდევ დაუკანონებელია 30 საცხოვრებელი ბინა და ამდენად, ისინი სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს, ამხანაგობის ჩამოყალიბებისათვის საჭირო გახდა საქართველოს ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა. ამასთან იმის გამო, რომ აღნიშნული ჩასახლება (22 კორპუსი) ფიქსირდება როგორც ერთი ობიექტი, ხოლო ყველა საცხოვრებელ კორპუსს სურს ჩამოაყალიბოს საკუთარი ამხანაგობა, ბათუმის მერია ითხოვს მათ დარეგისტრირებას საჯარო რეესტრში, რაც ასევე პროცედურულად პრობლემატური შეიქნა. საკითხების შეწავლისა და სათანადო წინადადებების ჩამოყალიბება-შეთავაზების შედეგად, წარმომადგენლობამ მიაღწია იმას, რომ ბათუმის მერია დევნილი მოსახლეობისათვის დაუშვებს გამონაკლისს და ამხანაგობები დარეგისტრირდებიან გამარტივებული წესით. მესამე კვარტალში ზემოთ მოყვანილი აქტივობის შედეგად, საკითხი დადებითად გადაწყდა და ამჟამად ბათუმში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების დარეგისტრირება წარმოებს გამარტივებული წესით, უკვე შექმნილია 5 ახალი ამხანაგობა.

❖ წარმომადგენლობის ძალისხმევითა და უშუალო ლობირებით, დადებითად გადაწყდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების წინაშე წარმოქმნილი მეორე პრობლემა (ე.წ. თანადაფინანსების საკითხი). კერძოდ ქ. ქუთაისისა და წყალტუბოს საკრებულოებმა სათანადო ცვლილებები შეიტანეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერის მუნიციპალურ პროგრამებში, რითაც შესაძლებელი გახდა დევნილთა ამხანაგობების უპრობლემო ჩართვა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს შესაბამის პროგრამებში;

❖ ხონის სამხედრო დასახლებაში N103 კორპუსზე სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავი მთლიანად აღდგენილია, ხოლო 101-ე კორპუსზე მოწესრიგდა წყლის შემკრები ღარები (ე.წ. ჟოლობები), სამუშაოები დაფინანსდა გამგეობის ბიუჯეტიდან;

❖ გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა მესამე მიმართულებითაც. კერძოდ: წარმომადგენლობის თხოვნითა და შუამდგომლობით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ უკვე აღადგინა ბაღდადის ყოფილი პროფსასწავლებლის შენობაში სასმელი წყლის სიტემა და ამჟამად წყალი შეუფერხებლად მიეწოდება მოსახლეობას, ასევე აღმოიფხვრა სასტუმრო „ხვამლში“ და წყალტუბოს სან. „საქართველოში“ არსებული საკანალიზაციო ქსელის დაზიანებები;

❖ ასევე, წარმომადგენლობის შუამდგომლობით, ჭიათურის ჯორბელას საერთო საცხოვრებელში მთლიანად შეიცვალა სასმელი წყლის გაყვანილობა და მოსახლეობას შეუფერხებლად მიეწოდება სასმელი წყალი. აქვე აღმოიფხვრა ელექტროენერგიის მიწოდებასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც შესაძლებელი გახდა წარმომადგენლობისა და „ენერგოპროჯორჯიას“ ჭიათურის სერვისცენტრის თანამშრომლობის შედეგად.

❖ რაც შეეხება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სანატორიუმებში არსებულ გაუსაძლის საცხოვრებელ პირობებს, წარმომადგენლობის ხელთ არსებული ინფორმაციით,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაკვეთით, სამხარაულის სახელობის საექსპერტო ბიურო ამზადებს შესაბამის დოკუმენტაციას და იმ ობიექტებიდან, რომლებსაც მიენიჭებათ საცხოვრებლად უვარგისის ან ნგრევადის სტატუსები, მოხდება მოსახლეობის გამოყვანა და განსახლება უახლოეს პერიოდში აშენებულ კორპუსებში;

❖ წარმომადგენლობის თხოვნით, 12 დევნილი სპეციალისტი დასაქმდა ქ. ქუთაისში „მაკდონალდსის“ სწრაფი კვების ობიექტის მშენებლობაზე.

❖ 23 დევნილი დასაქმდა წყალტუბოში დევნილთა 2 საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობაზე, არის დაპირება, რომ სამუშაოთა მოცულობის ზრდასთან ერთად გაიზრდება დასაქმებულთა რაოდენობაც.

❖ წარმომადგენლობისა და აიპ „ბიზნესინკუბატორის“ ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობის შედეგად, ერთი დევნილი დასაქმდა პლასტმასის ნაკეთობათა საწარმოში. ამასთან, საწარმოს ხელმძღვანელმა საკვები პროდუქტები გადასცა ქ. ქუთაისში მცხოვრებ 5 სოციალურად დაუცველ (უკიდურესად გაჭირვებულ) ოჯახს, რომლებიც თავის მხრივ შეარჩია წარმომადგენლობის შესაბამისი სამსახურის სპეციალისტებმა. ამ მიმართულებით კვლავ იგეგმება თანამშრომლობის გაგრძელება.

❖ წარმომადგენლობის შუამდგომლობითა და უშუალო ლობირებით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის შესაბამისი კომისიის მიერ 11 დევნილ მოქალაქეზე გაიცა ნებართვა მცირე ბიზნესის წარმოებისათვის;

საანგარიშო პერიოდში სულ შემოსულია 2321, ხოლო გასულია 663 კორესპოდენცია.

ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა

- **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

❖ შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე **136** ბენეფიციარს გაეწია ფულადი დახმარება;

❖ განხორციელდა ქირურგიული ოპერაციისა და მასთან დაკავშირებული მედიკამენტოზური მკურნალობის ხარჯების თანადაფინანსება **92** ბენეფიციარისთვის;

❖ მაგნიტურ - რეზონანსული ტომოგრაფიული (მრტ) კვლევა დაუფინანსდა **28** ბენეფიციარს;

❖ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **4** პირისთვის შეძენილ იქნა სპეციალური სამედიცინო მოწყობილობა (ნაწოლების საწინააღმდეგო ლეიბი);

❖ ონკოლოგიურად დაავადებულ **21** ბენეფიციარს დაუფინანსდა მკურნალობისთვის საჭირო მედიკამენტების შეძენა;

❖ კორონოგრაფიული კვლევა დაუფინანსდა **1** ბენეფიციარს;

❖ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე **5** პირისთვის შეძენილ იქნა სპეციალური სავარძელი ეტლი;

❖ მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატულ (ცერებრალური დამბლით) დაავადებულ **4** ბავშვს (18 წლამდე) გაეწია ერთჯერადი სოციალური დახმარება;

❖ განსაკუთრებულ პირობებში და გადაუდებელ შემთხვევაში (18 წლამდე ასაკის) მყოფ **6** ბავშვს დაუფინანსდა სამედიცინო მომსახურება - სარეაბილიტაციო პროცედურები;

❖ 1992 წლიდან 2004 წლამდე პერიოდში საომარი მოქმედებებისა და სამხედრო დავალების შესრულების დროს მიღებული მძიმე ტრავმის შედეგად დაინვალიდებულ **5** ბენეფიციარს გაეწია ფინანსური დახმარება;

- **ხანდაზმულთა სოციალური დაცვა**

❖ **72** მარტოხელა პენსიონერს გაეწია ფულადი დახმარება;

❖ **124** ხანდაზმულ (**80** წელს გადაცილებულ) ბენეფიციარს გაეწია ფულადი დახმარება;

- **ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვა**

❖ **34** მარჩენილდაკარგულ ბავშვს (**21** ოჯახი) გაეწია ფულადი დახმარება;

❖ **133** მრავალშვილიან ოჯახს გაეწია ფულადი დახმარება;

❖ მრავალშვილიან **17** ოჯახს ახალშობილთა დაბადებისას გაეწია ფულადი დახმარება;

❖ დედ-მამით ობოლ, (18 წლამდე) ასაკის **2** ბავშვს გაეწია ფულადი დახმარება;

❖ **5** მარტოხელა დედას გაეწია ფულადი დახმარება;

❖ **73** პირველკლასელ ბავშვს გადაეცა სასკოლო ჩანთა.

- **ომში დაღუპულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ოჯახების სოციალური დაცვა**

❖ ომში დაღუპულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა **30** ოჯახს გაეწია ფულადი დახმარება;

- **სოციალური დახმარებები**

❖ **6** ოჯახს დაუფინანსდა ბუნებრივი აირით მომარაგების სისტემის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულება;

❖ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ, ზემო აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ, 2000-2017 წლებში დაბადებულ ბავშვებს, ომში დაღუპული პირის ოჯახებს, ხანდაზმულ პირებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს საახალწლოდ საჩუქრად გადაეცათ საკვები პროდუქტების ნაკრები (ფქვილი, შაქარი, ზეთი, წიწიბურა, მაკარონი, ორცხობილა) პაკეტები;

❖ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ, ზემო აფხაზეთიდან დევნილ **83** ოჯახს გადაეცა ბუნებრივი გაზის გამათბობელი;

❖ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების **12** სტუდენტს დაუფინანსდა სწავლის
საფასური;

❖ მაგისტრატურის და რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომის შემდგომი პროგრამის **8**
სტუდენტს დაუფინანსდა სწავლის საფასური;

❖ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ **312** ბენეფიციარს გაეწია ერთჯერადი ფულადი დახმარება;

❖ **2** სასულიერო პირს, რელიგიის მსახურთა დახმარების ფარგლებში გაეწია ფულადი დახმარება.

- **დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივ ანაზღაურება**

❖ **26** ოჯახს ნაწილობრივ აუნაზღაურდა დაკრძალვის ხარჯები;

- **კულტურული ღონისძიებები**

❖ 1992-1993 და 2008 წლების საომარი მოვლენებისადმი მიძღვნილი აქციის ფარგლებში,
აფხაზეთში დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავად, მიმდინარე წლის 16 მარტს და 8 აგვისტოს თანამშრომლების მიერ გმირთა მემორიალი (ქ. თბილისი, გმირთა მოედანი, მუხათგვერდი) შემკობილ იქნა გვირგვინით;

❖ მიმდინარე წლის 18 თებერვალს, საზოგადოებრივი კოლეჯი „ორიენტირში“ ჩატარდა „კოდორის ხეობის ეტალონი მოსწავლის“ გამოსავლენი კონკურსი. გამარჯვებულმა

მოსწავლემ მონაწილეობა მიიღო საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატ „ეტალონი - 2017“-ის ფინალში 24 ივნისს, ქ. ბათუმში;

- ❖ ინტელექტუალურ-შემეცნებითი პროექტი ,,ერუდიტი“-ს შესარჩევი ტური ჩატარდა სამ ეტაპად ქ. ქუთაისში, ს.წინწყაროსა და ქ. თბილისში, სადაც გამოვლინდა 5-5 საუკეთესო შედეგის მქონე მოსწავლე, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს 2017 წლის 20 მაისს გამართულ ფინალში. ფინალურ ტურში პირველ სამ ადგილზე გასულ მოსწავლეებს საჩუქრად გადაეცათ პლანშეტური კომპიუტერები, ხოლო დანარჩენ მონაწილეებს წიგნები;
- ❖ 2017 წლის 14 აპრილს ,,დედაენის დღესთან“ დაკავშირებით გაიმართა ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ზემო აფხაზეთიდან დევნილმა მოზარდებმა. ღონისძიებაში მონაწილე ბავშვებს საჩუქრად გადაეცათ წიგნები;
- ❖ 2017 წლის 3 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ზემო აფხაზეთიდან დევნილი 100 ბავშვი წაყვანილ იქნა მთაწმინდის პარკში, გასართობად და დასასვენებლად;
- ❖ მიმდინარე წლის 17 -18 ივნისს, ქ. ქუთაისში მცხოვრები, ზემო აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდები, მუნიციპალიტეტმა ორდღიან ლაშქრობაზე წაიყვანა ცაგერში, სადაც დაათვალიერეს ისტორიულ - კულტურული ძეგლები და სხვა ღირსშესანიშნავი ადგილები;
- ❖ 2017 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის

თანამშრომლებმა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნისადმი პატივის მისაგებად გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს.

- **სპორტული ღონისძიებები**

- ❖ მიმდინარე წლის 17 -18 ივნისს, ქ.ქუთაისში მცხოვრები, ზემო აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდები, მუნიციპალიტეტმა ორდღიან ლაშქრობაზე წაიყვანა ცაგერში, სადაც დაათვალიერეს ისტორიულ - კულტურული ძეგლები და სხვა ღირსშესანიშნავი ადგილები;
- ❖ 2017 წლის 27 ივნისს ა(ა)იპ აჟარის სპორტ-სკოლის ფეხბურთის, თავისუფალი ჭიდაობისა და ძიუდოს სექციის სპორტსმენები წაყვანილ იქნა გონიოში, სადაც მათ ერთობლივად გაიარეს სპორტულ - გამაჯანსაღებელ წვრთნები და ვარჯიშები, ასევე მონაწილეობა მიიღეს შეჯიბრებებში;
- ❖ მიმდინარე წლის 26-27 აგვისტოს, აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებ ზემო აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულმა ახალგაზრდებმა მუნიციპალიტეტის ორგანიზებით ორდღიანი ლაშქრობა განახორციელეს წალკის მუნიციპალიტეტში მდებარე დაშბაშის კანიონში, ასევე გაეცნენ X-XI საუკუნეებში აშენებულ წმ. გიორგის სახელობის ეკლესიას;

- 2017 წლის საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა ა(ა)იპ „აჟარის სპორტ-სკოლის“ ფეხბურთის, თავისუფალი ჭიდაობისა და ძიუდოს სექციის სპორტსმენების მომზადება, წვრთნა და მონაწილეობა სხვადასხვა შეჯიბრებებში;
- 2017 წლის 20 დეკემბერს, აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში და ა(ა)იპ „აჟარის სპორტ-სკოლის“ ორგანიზებით გაიმართა „ზემო აფხაზეთის გარდამავალი თასი“-ს გათამაშება ფეხბურთში. აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობას იღებდა სპორტ-სკოლის სპორტსმენებისგან დაკომპლექტებული ოთხი გუნდი;
- 2017 წლის 23 დეკემბერს, აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში და ა(ა)იპ „აჟარის სპორტ-სკოლის“ ორგანიზებით ჩატარდა ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სპორტ-სკოლის აღსაზრდელებმა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტი, თავის კომპეტენციის ფარგლებში, სისტემატურად უწევს დახმარებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებს, როგორც ზემდგომი ორგანოების მიერ გაცემული დავალებების, ასევე მათ მიერ დაგეგმილი ღონისძიებების დროულ შესრულებასთან დაკავშირებით და პერიოდულად ატარებს მათი საქმიანობის მონიტორინგს.